EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

მეოთხე სექცია

საქმე „ცარციძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“

(საჩივარი N 18766/04)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

2017 წლის 17 იანვარი

საბოლოო გახდა

17/04/2017

ეს გადაწყვეტილება საბოლოო გახდა კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად. წინამდებარე გადაწყვეტილება შესაძლოა დაექვემდებაროს რედაქციულ შესწორებას.

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

საქმეზე ცარციძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (მეოთხე სექცია) პალატამ, შემდეგი შემადგენლობით:

ანდრაშ შაიო, *თავმჯდომარე*
ნონა წოწორია,
პაულო პინტო დე ალბუკერკი,
კრჟიშტოფ ვოიტიჩეკი,
ეგიდიუს კურისი,
იულია მოტოჩი,
გაბრიელე კუცკო-სტადლმაიერი, *მოსამართლეები*
და მარიალენა ცირლი, *სექციის განმწესრიგებელი,*

2016 წლის 6 დეკემბრის დახურული თათბირის შემდეგ

გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილება, რომელიც იმავე დღეს იქნა მიღებული:

პროცედურა

1. საქმის წარმოება დაიწყო საქართველოს 13 მოქალაქის მიერ (იხ. მე-5 პარაგრაფი) ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის (შემდგომში „კონვენცია“) 34-ე მუხლის შესაბამისად 2004 წლის 26 მაისს, საქართველოს წინააღმდეგ სასამართლოში შეტანილი საჩივრის (N 18766/04) საფუძველზე.

2. მომჩივნებს წარმოადგენდნენ კანადელი ადვოკატი ბ-ნი ა. კარბონე, ადვოკატები ბ-ნი მ. ციმინტია და ბ-ნი მ. ჭაბაშვილი, რომლებიც იურიდიულ საქმიანობას ახორციელებენ თბილისში, საქართველოში, და ადვოკატი ბ-ნი რ. კოლჰოფერი, რომელიც იურიდიულ საქმიანობას ახორციელებს ვენაში, ავსტრიაში. საქართველოს მთავრობას (შემდგომში „მთავრობა“) წარმოადგენდა ყოფილი სახელმწიფო წარმომადგენელი იუსტიციის სამინისტროდან ბ-ნი დ. თომაძე.

3. მომჩივნები ამტკიცებდნენ, რომ კონვენციის მე-6, მე-8, მე-9, მე-11, მე-13 და მე-14 მუხლებითა და კონვენციის დამატებითი ოქმის პირველი მუხლით გათვალისწინებული მათი უფლებები დაირღვა რელიგიურ ნიადაგზე არსებული ძალადობის გამო, რომელიც განხორციელდა მათ მიმართ მოპასუხე სახელმწიფოში.

ისინი ასევე, ამტკიცებდნენ, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ უზრუნველყვეს სავარაუდო დარღვევების შედეგების გამოსწორება.

4. 2007 წლის 29 აგვისტოს სასამართლომ გადაწყვიტა საჩივრის შესახებ ეცნობებინა მთავრობისთვის. ასევე, გადაწყდა ერთდროულად ემსჯელა სასამართლოს საჩივრის მისაღებობისა და არსებით მხარესთან დაკავშირებით (29-ე მუხლის § 1).

ფაქტები

I. საქმის გარემოებები

5. მომჩივნები, ბ-ნი რამაზ ცარციძე, ბ-ნი სამველ ბოზოიანი, ბ-ნი მამუკა გელაშვილი (მომჩივნები N 1-3, საქმე N 1); ბ-ნი ალექსანდრე მიკირტუმოვი, ბ-ნი ბინალი ალიევი (მომჩივნები N 4-5, საქმე N 2); ბ-ნი გია ძამუკოვი, ბ-ნი ვლადიმერ გაბუნია (მომჩივნები N 6-7, საქმე N 3); ბ-ნი ბორის გოგოლაძე, ქ-ნი ანასტასია თვარაძე, ქ-ნი მადონა კაპანაძე (მომჩივნები N 8-10, საქმე N 4); და ბ-ნი ჯიმშერ გოგელაშვილი, ბ-ნი გიორგი ყურუა და ბ-ნი ომარ ჩუბინიძე (მომჩივნები N 11-13, საქმე N 5) ყველანი არიან იეჰოვას მოწმეები. მათ მიერ სასამართლოში შეტანილი საჩივარი უკავშირდება რელიგიური მოტივით განხორციელებული აგრესიის ხუთ შემთხვევას, რომელიც საქართველოში სხვადასხვა დროს მათზე სავარაუდოდ განხორციელდა. საქმეებში N 1 და N 4 აღწერილი შემთხვევები წარმოადგენდა სასამართლოს განხილვის საგანს საქმეში *„ბელელური და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“* (N 28490/02, 2014 წლის 7 ოქტომბერი).

6. ფაქტების შემდეგი ანგარიში ემყარება მომჩივანთა მიერ წარდგენილ პოზიციებს.

A. საქმე N 1

7. საჩივრის ეს ნაწილი ეხება მომჩივნებს ბ-ნ რ. ცარციძეს, ბ-ნ ს. ბოზოიანსა და ბ-ნ მ. გელაშვილს (მომჩივნები N 1-3).

8. 2000 წლის 16 სექტემბერს ცხრამეტი სამგზავრო ავტობუსითა და რამდენიმე მანქანით იეჰოვას მოწმეები გაემართნენ მარნეულში ბ-ნი ცარციძის სახლში ყრილობაზე დასასწრებად. პოლიციამ გზაზე დააყენა საკონტროლო-გამშვები პუნქტები და

გადაკეტა გზები, რითაც ხელი შეუშალა იეჰოვას მოწმეებს დანიშნულების ადგილზე მისვლაში. ამასთან ერთად, პოლიციამ უფლება მისცა სამგზავრო ავტობუსს, სადაც იმყოფებოდნენ მართლმადიდებლური ეკლესიის ექსტრემისტი წევრები ბ-ნი ვ. მკალავიშვილის ხელმძღვანელობით, რომელიც ასევე ცნობილია როგორც მამა ბასილი (იხ. საქმე *გლდანის კონგრეგაციის 97 წევრი და ოთხი სხვა პირი საქართველოს წინააღმდეგ*, no. 71156/01, § 11, 2007 წლის 3 მაისი), გაეგრძელებინათ გზა მარნეულისკენ, რათა თავს დასხმოდნენ და დაეზიანებინათ ბ-ნი ცარციძის საკუთრებაში არსებული ადგილი, სადაც აპირებდნენ შეკრებას იეჰოვას მოწმეები. თავდამსხმელებმა გაანადგურეს რელიგიური დანიშნულების ობიექტები და დაეუფლნენ სხვის ნივთებს. დამსწრე პოლიციელებმა უარი თქვეს ჩარევაზე. მოხდა იეჰოვას მოწმეების კუთვნილი ქონების, მათ შორის 1,5 ტონა რელიგიური ლიტერატურის, კონფისკაცია. რელიგიური ლიტერატურა დაწვეს ქუჩაში. სხვა ნივთები (კარვები, 400 სკამი და სხვა ნივთები) მამა ბასილის მხარდამჭერებმა გაუნაწილეს ადგილობრივ მაცხოვრებლებს (იხ. საქმე *ბელელური და სხვები*, §§ 16-21, მითითებულია ზემოთ).

9. 2001 წლის 25 იანვარსა და 2002 წლის 28 თებერვალს გაკეთებული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, მოპარული და განადგურებული მოწყობილობა-დანადგარები და მასალები იყო დაახლოებით 9 000 ევროს ღირებულების, ხოლო 1,5 ტონა მოპარული და დამწვარი რელიგიური ლიტერატურა იყო დაახლოებით 700 ევროს ღირებულების.

10. 2000 წლის 16 ოქტომბერს მომჩივნებმა N 1-3, იეჰოვას სხვა მოწმეებმა, საქართველოში „პენსილვანიის საგუშაგო კოშკისა“ და „იეჰოვას მოწმეების გაერთიანების“ წარმომადგენლობამ ადმინისტრაციული საჩივარი შეიტანეს თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოში შინაგან საქმეთა სამინისტროს, მარნეულის გამგებლის, მარნეულის პოლიციის განყოფილების უფროსისა და მისი მოადგილის და საქმეში მონაწილე თორმეტი სხვა პოლიციელის წინააღმდეგ. მომჩივნები ითხოვდნენ კომპენსაციას სახელმწიფო წარმომადგენლების მიერ მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანისთვის.

11. 2001 წლის 8 მაისს მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება პროცესში შინაგან საქმეთა სამინისტროს მესამე პირად ჩაბმის შესახებ და საქმე

განსახილველად გადაგზავნა მარნეულის რაიონულ სასამართლოში.

12. 2002 წლის 13 მაისს მარნეულის რაიონულმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა მომჩივნების საჩივარი დაუსაბუთებლობის გამო. სასამართლომ მიიჩნია, რომ პირებმა, რომლებიც მოქმედებდნენ მამა ბასილის მითითებების შესაბამისად, განახორციელეს თავდასხმა ბ-ნი ცარციძის საკუთრებასა და იეჰოვას მოწმეებზე. რაც შეეხება მარნეულის პოლიციას, სასამართლომ დაადგინა, რომ ისინი არ ფლობდნენ ინფორმაციას 2000 წლის 16 სექტემბერს ბ-ნი ცარციძის სახლში ყრილობის გამართვის შესახებ და ამ დღეს მონაწილეობდნენ ნარკოტიკების საწინააღმდეგო ოპერაციაში აზერბაიჯანის მოსაზღვრე ტერიტორიაზე. სასამართლომ გამოარკვია, რომ მოპასუხეები, რომლებიც იყვნენ პოლიციელები, მივიდნენ შემთხვევის ადგილზე აღნიშნული თავდასხმის შემდეგ და შეძლეს მხოლოდ იმ ზიანის ნახვა, რომელიც უკვე მიყენებული იყო. აქედან გამომდინარე, მათ არ მიუძღვით წვლილი აღნიშნულში პასიურობის ან მომჩივნების წინააღმდეგ რელიგიური მოტივით აგრესიულ ქმედებებში მონაწილეობის გამო.

13. 2002 წლის 18 ივნისს მომჩივნებმა შეიტანეს საჩივარი თბილისის საოლქო სასამართლოში იმ მოტივით, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ უგულებელყო ის ფაქტი, რომ პოლიციამ უკან გააბრუნა იეჰოვას მოწმეები, თუმცა იგივე საკონტროლო-გამშვები პუნქტის გავლის უფლება მისცა მამა ბასილსა და მის მხარდამჭერებს. მომჩივნები აცხადებდნენ, რომ მათი ჩვენებები უგულებელყო პირველი ინსტანციის სასამართლომ პოლიციელების დაუსაბუთებელი განცხადებების სასარგებლოდ. მომჩივნებმა, ასევე, ეჭვქვეშ დააყენეს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის მინიჭებული, პროცესში მონაწილე მესამე პირის სტატუსი იმ ფაქტის მიუხედავად, რომ ის მითითებული იყო როგორც მოპასუხე.

14. 2003 წლის 30 დეკემბერს საოლქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მომჩივნების საჩივარი იმავე საფუძვლებით, რაც მიუთითა პირველმა ინსტანციამ.

15. 2004 წლის 29 სექტემბერს მომჩივნების საჩივარი სამართლებრივი ნორმების დარღვევის თაობაზე არ დააკმაყოფილა უზენაესმა სასამართლომ, რომელმაც მიიჩნია, რომ მომჩივნებმა ვერ დაამტკიცეს პოლიციელების მიერ სამსახურებრივი მოვალეობების „განზრახ“ ან „გაუფრთხილებლობით“ დარღვევის ფაქტი.

B. საქმე N 2

16. საჩივრის ეს ნაწილი ეხება N 4 და N 5 მომჩივნებს - ბ-ნ ალექსანდრე მიკირტუმოვს და ბ-ნ ბინალი ალიევს.

17. 2000 წლის 26 ოქტომბერს, როდესაც იეჰოვას მოწმეების აზერბაიჯანული მრევლის დაახლოებით ოცდაათი წევრი ემზადებოდა შეხვედრის გასამართად მარნეულში, ბ-ნი ალიევის სახლში, იქ მივიდა სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული ხუთი პოლიციელი. მათ შორის იყვნენ ს.ხ. და გ.ნ., რომლებმაც, სავარაუდოდ, მონაწილეობა მიიღეს რამდენიმე დღის წინ იეჰოვას მოწმეებზე განხორციელებულ თავდასხმაში ბ-ნი ცარციძის სახლში (იხ. საქმე N 1), და ასევე ნ.ნ.. პოლიციელებმა განაცხადეს, რომ შეხვედრა ვერ გაიმართებოდა. შეურაცხმყოფელი სიტყვების გამოყენებით მათ უბრძანეს მონაწილეებს სახლის დატოვება. მათ მოახდინეს იეჰოვას მოწმეების კუთვნილი რელიგიური წიგნებისა და ბიბლიების კონფისკაცია.

18. ბ-ნი ალიევი და ბ-ნი მიკირტუმოვი, რომელიც იყო პასტორი, გადაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში. იქ მათ შეურაცხყოფა მიაყენა პოლიციელმა გ.ნ.-მ, რომელმაც უბრძანა ბ-ნ მიკირტუმოვს, რომ წასულიყო მარნეულიდან და აღარასოდეს დაბრუნებულიყო, სხვა შემთხვევაში მას სერიოზული პრობლემები შეექმნებოდა. ს.ხ.-მ უბრძანა ბ-ნ ალიევს, რომ აღარ გაემართა რელიგიური შეკრებები თავის სახლში, თუ სურდა პოლიციასთან პრობლემების თავიდან აცილება. ამის შემდეგ ბ-ნი მიკირტუმოვი ძალის დატანებით ჩასვეს მანქანაში და წაიყვანეს მარნეულიდან.

19. 2000 წლის 27 ნოემბერს ორმა მომჩივანმა, საქართველოში „პენსილვანიის საგუშაგო კოშკისა“ და „იეჰოვას მოწმეების გაერთიანების“ წარმომადგენლობასთან ერთად, ადმინისტრაციული საჩივარი შეიტანა თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოში, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მონაწილე პოლიციელების წინააღმდეგ. სამი პოლიციელის ამოცნობის გარდა, მომჩივნებმა ასევე წარმოადგინეს ორი სატრანსპორტო საშუალების სანომრე ნიშნები, რომლითაც პოლიციელები მივიდნენ. ისინი ითხოვდნენ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯაროდ მოეხადა ბოდიში პოლიციის შესახებ კანონის თანახმად და თანამშრომლების მიმართ წამოეწყო დისციპლინური საქმის წარმოება. მომჩივნები ასევე ითხოვდნენ, რომ მათთვის გადაეხადათ კომპენსაცია მორალური ზიანისთვის და რომ ქვეყნის ყველა პოლიციის განყოფილებაში გადაგზავნილიყო

მითითება, რომელიც გაითვალისწინებდა იეჰოვას მოწმეთა უფლებების დაცვას.

20. 2001 წლის 6 ივნისს საქმე გადაეგზავნა მარნეულის რაიონულ სასამართლოს, რომელმაც ის თავის მხრივ გადაუგზავნა ბოლნისის რაიონულ სასამართლოს 2002 წლის 14 მაისს.

21. სასამართლოს მიერ დაკითხვისას მომჩივნებმა და სხვა პირებმა, რომლებიც ესწრებოდნენ შეხვედრას, დაადასტურეს ზემოთ ხსენებული ფაქტები. პოლიციელებმა ს.ხ.-მ და გ.ნ.-მ უარყვეს ბრალდებები. გ.ნ. ამტკიცებდა, რომ მოცემულ დღეს ის არ შესულა ბ-ნი ალიევის სახლში და მომჩივნებს პირველად ხედავდა, ხოლო ს.ხ. აცხადებდა, რომ იმ დღეს მან ნახა გ.ნ. და მის დაქვემდებარებაში მყოფი სხვა პოლიციელები ბ-ნი ალიევის სახლის წინ. ის წავიდა იმის სანახავად, თუ რა ხდებოდა. გ.ნ.-მ განმარტა, რომ პირთა ჯგუფმა შეატყობინა პოლიციას, რომ უნდა გამართულიყო იეჰოვას მოწმეების შეხვედრა და სთხოვა პოლიციას ჩარეულიყვნენ ვიდრე ისინი თვითონ ჩაერეოდნენ. აქედან გამომდინარე, პოლიციელები ვალდებულნი იყვნენ მისულიყვნენ ადგილზე. ს.ხ.-ს მტკიცებით, გ.ნ. შევიდა ბ-ნი ალიევის სახლში, რათა ეთხოვა მისთვის, არ გაემართათ შეხვედრა და თავიდან აეცილებინათ დაპირისპირება ამ პირთა ჯგუფთან. ს.ხ.-მ განაცხადა, რომ ამის შემდეგ მან განაგრძო გზა, და უარყო ორი მომჩივნის პოლიციის განყოფილებაში გადაყვანის ფაქტი. თუმცა, მან დაადასტურა, რომ გ.ნ., ბ-ნი ალიევი და ბ-ნი მიკირტუმოვი „სადღაც“ წაიყვანეს ერთად. ს.ხ.-ს მტკიცებით, მომჩივნები იმ დღეს პოლიციის განყოფილებაში რომ გადაეყვანათ, მათ დაკითხავდნენ და მათი ვიზიტი პოლიციის განყოფილებაში შესაბამისად დარეგისტრირდებოდა. მან გააკრიტიკა მომჩივნები იმის გამო, რომ მათ არ შეიტანეს საჩივარი პოლიციის უფროსთან, თუ ისინი ნამდვილად უკანონოდ იქნენ გადაყვანილი პოლიციის განყოფილებაში.

22. ამის საპირისპიროდ, ორმა მომჩივანმა განაცხადა, რომ ისინი შეიყვანეს ს.ხ.-ს სამუშაო ოთახში, რომელმაც შესაბამისად უბრძანა მათ ხელწერილი დაეწერათ, რომ ისინი წავიდოდნენ მარნეულიდან და რომ ბ-ნი ალიევი აღარ გამართავდა რელიგიურ შეხვედრებს თავის სახლში. ს.ხ.-მ ეს განცხადებაც უარყო.

23. 2003 წლის 17 ივნისს მომჩივნების მიერ წამოწყებული საქმის წარმოება არ დაკმაყოფილდა დაუსაბუთებლობის გამო. სასამართლოს აზრით, არ იქნა დადგენილი, რომ აღნიშნულმა

პოლიციელებმა ხელი შეუშალეს რელიგიური შეხვედრის გამართვას ბ-ნი ალიევის სახლში, მოახდინეს რელიგიური წიგნების კონფისკაცია და გადაიყვანეს ორი მომჩივანი პოლიციის განყოფილებაში, რათა აეკრძალათ მათთვის რელიგიური რიტუალების ჩატარება მათი რწმენის შესაბამისად. ოთხი თვითმხილველის მიერ გაკეთებულ განცხადებებთან მიმართებით სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნული განცხადებები არ იყო სანდო, რადგან ისინი გაკეთდა იმ პირების მიერ, რომლებიც ესწრებოდნენ შეხვედრას და რომლებიც დაინტერესებული იყვნენ მომჩივნების საჩივრის გამყარებით. გარდა ამისა, მომჩივნების მიერ გაკეთებული განცხადებები სავსებით უარყვეს პოლიციელებმა. შედეგად, სასამართლომ დაადგინა, რომ არ არსებობდა რაიმე მტკიცებულება იმისა, რომ პოლიციელებმა თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობები დაარღვიეს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მნიშვნელობით.

24. 2004 წლის 21 ოქტომბერს თბილისის საოლქო სასამართლომ უცვლელი დატოვა 2003 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილება იმავე საფუძვლებით, რაც გამოყენებული იქნა ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიერ.

25. 2005 წლის 23 თებერვალს უზენაესმა სასამართლომ წერილობითი საქმის წარმოებისას მიღებული განჩინებით არ დააკმაყოფილა მომჩივნების მიერ შეტანილი საჩივარი სამართლებრივი ნორმების დარღვევის თაობაზე. სასამართლომ დაასკვნა, რომ მომჩივნებმა ვერ დაამტკიცეს მოპასუხე პოლიციელების მიერ მათი მოვალეობების განზრახ ან გაუფრთხილებლობით დარღვევის ფაქტი.

C. საქმე N 3

26. საჩივრის ეს ნაწილი ეხება ბ-ნ გია ძამუკოვს და ვლადიმერ გაბუნიას (შესაბამისად მომჩივნებს N 6 და N 7).

27. 2000 წლის 2 სექტემბერს ბ-ნი ძამუკოვი, რომელსაც თან ჰქონდა რელიგიური ბროშურები, ქუთაისში, ქუჩაში გააჩერა ორმა ფორმიანმა პოლიციელმა ე.კ.-მ და ე.ჩ.-მ. მოხდა მისი ჩანთის კონფისკაცია, სადაც მოთავსებული იყო რელიგიური ლიტერატურა, და ის გადაყვანილ იქნა პოლიციის განყოფილებაში. სანამ გაათავისუფლებდნენ, მომჩივანი სცემა რამდენიმე

პოლიციელმა, მათ შორის ე.ჩ.-მ. პოლიციის განყოფილების დატოვებამდე მომჩივანმა მოითხოვა მისთვის კუთვნილი ნივთების დაბრუნება. საპასუხოდ, ე.ჩ. მივიდა მასთან და შეეცადა მის დახრჩობას ჰალსტუხით და უბრძანა მომჩივანს მოშორებულიყო იქიდან. განყოფილების გარეთ პოლიციელებმა მას გზა ჩაუკეტეს და დაემუქრნენ, რომ ხელკეტებით სცემდნენ. რადგან დაინახა, რომ მომჩივანი უარს ამბობდა წასვლაზე და დაჟინებით მოითხოვდა მისთვის ჩამორთმეული რელიგიური ლიტერატურის დაბრუნებას, პოლიციელი მივიდა მასთან და ბიბლია სახეში ესროლა.

28. სახლში დაბრუნებისას მომჩივანმა და მისმა მეუღლემ შეამჩნიეს, რომ მისი გულმკერდი გაწითლებული იყო და სტკიოდა. მისი მეუღლე მაშინვე წავიდა პოლიციის განყოფილებაში და გააპროტესტა ქმრის მიმართ მოპყრობა და მოითხოვა ჩამორთმეული კუთვნილი ნივთების დაბრუნება. საპასუხოდ მას შეურაცხყოფა მიაყენეს და გამოაგდეს დაწესებულებიდან.

29. მომდევნო დღეს ბ-ნი გაბუნია, მომჩივანი N 7, მიდიოდა ქუჩაში, ქუთაისში, და თან ჰქონდა რელიგიური ბროშურები. მან ერთი ბროშურა მისცა ე.კ.-ს, რომელთან ერთადაც იყო მეორე პოლიციელი. საპასუხოდ ე.კ.-მ უსაყვედურა, რომ მისი ქცევა არ შეეფერებოდა ქრისტიანის ქცევას. ბ.მ.-მ, მეორე პოლიციელმა, ხელი დაარტყა მას მუცელში და მას შემდეგ რაც ის ძირს დაეცა, ჩანთა წაგლიჯა. პოლიციელებმა გამოაცარიელეს ჩანთა და დახიეს მასში მოთავსებული რელიგიური ლიტერატურა. ორი ბიბლია მათ თავისთვის დაიტოვეს. როდესაც მომჩივანმა მოითხოვა ბიბლიის დაბრუნება, ბ.მ. დაემუქრა, რომ მანქანაში ჩასვამდა და მდინარე რიონში ჩააგდებდა.

30. 2000 წლის 2 ოქტომბერს მომჩივნებმა ადმინისტრაციული საჩივარი შეიტანეს ქუთაისის სასამართლოში შინაგან საქმეთა სამინისტროს, ქუთაისის პოლიციის განყოფილების უფროსისა და მისი მოადგილის, და პოლიციელების - ბ.მ.-სა და ე.კ.-ს წინააღმდეგ. ისინი ამტკიცებდნენ, რომ კონსტიტუციის მე-19 მუხლითა და კონვენციის მე-9 და მე-14 მუხლებით გარანტირებული მათი უფლებები დაირღვა. ისინი მოითხოვდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საჯაროდ ბოდიშის მოხდას და მათი ორი თანამშრომლის მიმართ დისციპლინური საქმის წარმოების დაწყებას, რომლებმაც, მათი აზრით, დაარღვიეს პოლიციის შესახებ კანონით გათვალისწინებული სამსახურებრივი მოვალეობები. მომჩივნები ასევე ითხოვდნენ მათთვის კომპენსაციის გადახდას

მატერიალური და მორალური ზიანისთვის სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად.

31. სასამართლოს მიერ დაკითხვისას მომჩივნებმა დაადასტურეს ზემოთ ხსენებული ფაქტები. ბ-ნმა გაბუნიამ დეტალურად აღწერა ის ადგილი, სადაც ის შეხვდა ორ პოლიციელს და აღნიშნა, რომ ისინი ჩაცმული იყვნენ ფორმებში და ეკეთათ სამკერდე ნიშნები. მან ასევე წარმოადგინა ინფორმაცია მანქანის მოდელის, ფერისა და სარეგისტრაციო ნიშნის შესახებ. ბ-ნმა ძამუკოვმა დაასახელა იმ მანქანის სარეგისტრაციო ნომერი, რომლითაც ის გადაყვანილი იქნა პოლიციის განყოფილებაში. მისმა მეუღლემ დაასახელა იმ მანქანის სარეგისტრაციო ნომერი, რომლითაც ე. ჩ. მისდევდა მას, ხოლო პოლიციის განყოფილებაში მომხდარი ინციდენტის მოწმე ლ.კ.-მ დაადასტურა, რომ მან დაინახა იქ ბ-ნი ძამუკოვი. ე.ჩ.-მ უარყო ბრალდებები და აღნიშნა, რომ იმ დღეს ის იმყოფებოდა შვებულებაში და არ იყო ქუთაისში. ბ. მ.- მ და ე.კ.- მ ასევე უარყვეს ბრალდებები და განაცხადეს, რომ ისინი პირველად ხედავდნენ მომჩივნებს.

32. 2002 წლის 7 ივნისს მომჩივნების საჩივარი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო. სასამართლომ მიუთითა იმ უფლებებზე, რომლებიც გარანტირებული იყო კონსტიტუციის მე-19 მუხლით, და აღნიშნა, რომ ისტორიულად საქართველოში რელიგია არასდროს იდევნებოდა. სასამართლომ ამასთან აღნიშნა:

> „ასევე ცნობილია, რომ ბევრი იეჰოვას მოწმე უხეშად არღვევს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებს და ხშირად თავიანთ აზრსა და რწმენას თავს ახვევს სხვებს, რითაც არღვევს მათ უფლებებს.“

ამის შემდეგ სასამართლომ არ გაითვალისწინა მომჩივნების სასარგებლოდ მიცემული სამი მოწმის ჩვენება იმ საფუძვლით, რომ ეს პირები არ იყვნენ თვითმხილველები. გარდა ამისა, მან აღნიშნა:

> „პირველი ორი მოწმე არის იეჰოვას მოწმე და მომჩივნების მეგობარი და ისინი დაინტერესებული არიან საქმის გადაწყვეტით მომჩივნების სასარგებლოდ.“

რადგან მომჩივნებს არ წარუდგენიათ სხვა დამაჯერებელი მტკიცებულება (სამედიცინო დასკვნა, დახეული რელიგიური ლიტერატურა და სხვა), მათი ბრალდებები ჩაითვალა დაუსაბუთებლად. და ბოლოს, სასამართლომ აღნიშნა, რომ ბ-ნმა ძამუკოვმა თავის საჩივარში ე.ჩ. - ს სახელი ერთი წლის შემდეგ დაამატა.

33. მომჩივნებმა შეიტანეს საჩივარი სადაც აღნიშნეს, რომ განადგურებული რელიგიური მასალის სასამართლოში წარდგენას არ ექნებოდა მყარი მტკიცებულებითი ღირებულება, რადგან ის არ იქნებოდა საკმარისი იმის დასამტკიცებლად, რომ აღნიშნულმა პოლიციელებმა იმ დღეს ეს ლიტერატურა დახიეს. მომჩივნებმა ასევე განმარტეს, რომ არ იყო აუცილებელი სამედიცინო დასკვნის აღება, რადგან მათ არ ჰქონდათ მიღებული მძიმე ჭრილობები ან სხეულის დაზიანებები. თუმცა, ეს არ ცვლის იმ ფაქტს, რომ მათ სცემეს პოლიციელებმა. გარდა ამისა, მათი აზრით, რწმენის გამო მათ წინააღმდეგ მიმართული შეურაცხყოფა საკმარისი იყო იმის დასადგენად, რომ პოლიციელებმა გამოიჩინეს დაუდევრობა მათი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას.

34. 2002 წლის 18 დეკემბერს ქუთაისის რაიონულმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა მომჩივნების საჩივარი იმავე საფუძვლებით, რაც პირველი ინსტანციის სასამართლომ. კერძოდ, სასამართლომ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ პოლიციელებმა უარყვეს ბრალდებები და რომ მომჩივნებს არ ჰქონიათ სხეულის დაზიანებები. სასამართლომ დაასკვნა, რომ საპირისპიროს საკმარისი მტკიცებულების არარსებობის ფონზე მომჩივანთა ღირსება არ შელახულა და არ მომხდარა მათი რელიგიის თავისუფლების უფლებების დარღვევა, რაც გამორიცხავს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილის გამოყენებასა და კომპენსაციის გადახდას.

35. მომჩივანთა მტკიცებით, სააპელაციო სასამართლომ გაითვალისწინა ე.კ.-ს ზეპირი ჩვენება, რომელიც აცხადებდა, რომ ის ვერ ცნობდა თეთრი ფერის მანქანას სარეგისტრაციო ნიშნით DAQ 492, რომელიც, ამის მიუხედავად, ბ-ნმა ძამუკოვმა ამოიცნო როგორც მანქანა, რომლითაც ორი პოლიციელი პატრულირებდა აღნიშნული ინციდენტის დროს. თუმცა, მოსმენის შემდეგ ე.კ. -მ დატოვა სასამართლო ზუსტად იმავე სატრანსპორტო საშუალებით, რომელიც გაჩერებული იყო საოლქო სასამართლოს წინ. მომჩივნებმა გადაიღეს სურათი და დაურთეს ის თავიანთ საჩივარს სამართლებრივი ნორმების დარღვევის თაობაზე. კერძოდ, თავიანთ საჩივარში ისინი აცხადებდნენ, რომ ე.კ.-ს უარყოფა დაშვებული იქნა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ და ასევე, სააპელაციო საჩივრის განხილვის დროს ყოველგვარი გამამყარებელი მტკიცებულების გარეშე.

36. დაცვის მხარის არდასწრების გამო მოსმენის რამდენჯერმე გადადების შემდეგ, უზენაესმა სასამართლომ შეისწავლა მომჩივნების საჩივარი სამართლებრივი ნორმების დარღვევის თაობაზე წერილობითი საქმის წარმოების ფარგლებში და არ დააკმაყოფილა ის 2003 წლის 17 ოქტომბერს. მან გააკრიტიკა მომჩივნები იმის გამო, რომ არ შეიტანეს სისხლის სამართლის საჩივრები პოლიციელების წინააღმდეგ. უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, იმის აღიარება, რომ პოლიციელებმა დაარღვიეს მათი სამსახურებრივი მოვალეობები სადავო ფორმით (მომჩივნებზე თავდასხმა და მათი შეურაცხყოფა) იქნებოდა ადმინისტრაციული წარმოების კონტექსტში დანაშაულის ჩადენაში მათი ბრალეულობის აღიარების ტოლფასი, რაც ეწინააღმდეგება კანონს. ამავდროულად, თუ ნამდვილად დადასტურდებოდა პოლიციელების წინააღმდეგ ბრალდებები სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას, მომჩივნები მიიღებდნენ კომპენსაციას და ასევე, მათ საჯაროდ მოუხდიდნენ ბოდიშს.

37. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება მომჩივნებს ჩაბარდათ 2003 წლის 27 ნოემბერს.

D. საქმე N 4

38. საჩივრის ეს ნაწილი ეხება ბ-ნ ბორის გოგოლაძეს, ქ-ნ ანასტასია თვარაძესა და ქ-ნ მადონა კაპანაძეს (შესაბამისად, მომჩივნებს N 8-10).

39. 2001 წლის პირველ აპრილს იეჰოვას მოწმეების ჯგუფი ბრუნდებოდა რელიგიური შეხვედრიდან სოფელ დვირში, ბორჯომის რაიონში. ავტობუსის გაჩერებაზე ისინი შეხვდნენ ბ-ნ ს.ხ.-ს, ქალაქ ბორჯომის გამგებლის მოადგილეს, ბ-ნ ჯ.ბ.-ს, დვირის რწმუნებულს, და დაახლოებით თხუთმეტ ადგილობრივ მაცხოვრებელს. ერთ-ერთმა ამ უკანასკნელთაგან შეურაცხყოფა მიაყენა ბ-ნ გოგოლაძეს, დაჭრა ის ლოყაზე, ხელიდან გამოსტაცა და დაუხია ჩანთა, სადაც მოთავსებული იყო რელიგიური ლიტერატურა და სხვა პირადი მოხმარების ნივთები. შემდეგ მან თავში დაარტყა ორ მომჩივანს ბ-ნ გოგოლაძის ჩანთიდან მოხეული სამხრეულით. გამგებელმა და რწმუნებულმა, რომლებიც უყურებდნენ ამ თავდასხმას, შეურაცხყოფა მიაყენეს დაზარალებულებს. საბოლოოდ, მათ სთხოვეს თავდამსხმელს თავი

დაენებებინათ მათთვის და წავიდნენ მასთან ერთად (იხ. საქმე *ბელელური და სხვები*, § 56, მითითებულია ზემოთ).

40. 2001 წლის 30 აპრილს მომჩივნებმა ადმინისტრაციული საჩივარი შეიტანეს ბორჯომის სასამართლოში ბორჯომის სამხარეო ადმინისტრაციის, ადგილობრივი პოლიციის უფროსის, გამგებლისა და რწმუნებულის წინააღმდეგ. მომჩივნები მოითხოვდნენ, რომ თანამდებობის პირებს საჯაროდ მოეხადათ ბოდიში და სამხარეო ადმინისტრაციას დაეწყო დისციპლინური საქმის წარმოება მათ წინააღმდეგ. ისინი ასევე ითხოვდნენ კომპენსაციას მორალური ზიანისთვის (სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილი).

41. 2001 წლის 17 სექტემბერს სასამართლომ არ დააკმაყოფილა მომჩივნების საჩივარი იმ საფუძვლებით, რომ გამგებელსა და რწმუნებულს კანონით არ ეკისრებოდათ ვალდებულება, რომ უზრუნველეყოთ საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნება. მისი დასკვნით, არ ჩანდა, რომ მათ თვითონ მოაწყვეს აღნიშნული თავდასხმა ან პირადად დაესხნენ თავს ან მიაყენეს შეურაცხყოფა მომჩივნებს. გადაწყვეტილება უცვლელი დატოვა თბილისის საოლქო სასამართლომ 2003 წლის 25 ივლისს სააპელაციო საჩივრის განხილვისას. საოლქო სასამართლომ დაადგინა, რომ საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნების უზრუნველყოფა არ წარმოადგენდა რწმუნებულისა და გამგებლის „გადაუდებელ ვალდებულებას“.

42. 2004 წლის 13 თებერვალს უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა მომჩივნების საჩივარი სამართლებრივი ნორმების დარღვევის თაობაზე იგივე საფუძვლებით, რაც საოლქო სასამართლომ.

E. საქმე N 5

43. საჩივრის ეს ნაწილი ეხება მომჩივნებს ბ-ნ ჯიმშერ გოგელაშვილს, გიორგი ყურუას და ომარ ჩუბინიძეს (მომჩივნები N 11-13).

44. 2001 წლის 27 მარტს მართლმადიდებელი რელიგიური ექსტრემისტების ჯგუფი ბ-ნი პ. ბლუაშვილის ხელმძღვანელობით, რომელიც არის მოძრაობა *ჯვრის* წინამძღოლი, შეიჭრა ბ-ნი გოგელაშვილის ბინაში, სადაც იეჰოვას მოწმეთა მრევლი მართავდა შეხვედრას. თავდამსხმელებმა უბრძანეს იეჰოვას მოწმეებს,

რომლებსაც ისინი მოიხსენიებდნენ ქრისტეს შეურაცხმყოფელებად და სატანისტებად, გადაეცათ მათთვის რელიგიური ლიტერატურა და დაეტოვებინათ შენობა. იეჰოვას მოწმეები შეეწინააღმდეგნენ კონსტიტუციის დებულებებზე მითითებით, მაგრამ მიუხედავად ამისა იძულებული იყვნენ დამორჩილებოდნენ. ბ-ნ ყურუას შეურაცხყოფა მიაყენა ბ-ნმა ბლუაშვილმა, რომელმაც შემდეგ მას ჰალსტუხი მოუჭირა მისი დახრჩობის მიზნით.

45. ბინაში არსებული პირებისთვის რელიგიური ლიტერატურის ჩამორთმევის შემდეგ თავდამსხმელებმა გააღეს კარადები და გამოიღეს მსგავსი ლიტერატურა, რომელიც ჯერ იატაკზე დაყარეს, ხოლო შემდეგ ფანჯრიდან გადაყარეს. ასევე ფანჯრიდან იქნა გადაყრილი სკამები, რომლებსაც იეჰოვას მოწმეები იყენებდნენ შეხვედრის დროს.

46. თავდასხმა გადაიღეს ვიდეო კამერით. გარდა ამისა, ჩანაწერზე ჩანს სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული პირი, რომელიც მომჩივნების მტკიცებით იყო პოლიციელი სახელად ლ. გოგოლაური. ის დგას ეზოში, აკვირდება თუ როგორ ყრიან იეჰოვას მოწმეებს ბინიდან და უშვებს ბავშვს, რომელსაც თან მიაქვს ფანჯრიდან გადმოგდებული სკამი.

47. მომჩივნებმა შეაფასეს აღნიშნული თავდასხმით გამოწვეული მატერიალური ზარალი დაახლოებით 760 ევროდ (აუდიო-ვიდეო მოწყობილობა, რელიგიური ლიტერატურა, სკამები და სხვა ნივთები). თავიანთი სარჩელის გასამყარებლად მათ წარმოადგინეს 2001 წლის 23 მაისით დათარიღებული აუდიტორული დასკვნა.

48. ზემოთ ხსენებული ინციდენტის მომდევნო დღეს თავდამსხმელთა იგივე ჯგუფმა რუსთავის მთავარ ბაზარზე საჯაროდ დაწვა ბ-ნი გოგელაშვილის სახლიდან წამოღებული რელიგიური ლიტერატურა. ეს სცენაც გადაღებულია ზემოთ აღნიშნულ ჩანაწერში. მომჩივნების მტკიცებით, პოლიციელებს, რომლებიც პატრულირებდნენ ბაზრის ტერიტორიაზე, რეაგირება არ მოუხდენიათ.

49. 2001 წლის 30 აპრილს იეჰოვას მოწმეებმა, რომლებიც გახდნენ თავდასხმის მსხვერპლი, მათ შორის ზემოთ ხსენებულმა სამმა მომჩივანმა და ასევე, საქართველოში „პენსილვანიის საგუშაგო კოშკისა“ და „იეჰოვას მოწმეების გაერთიანების“ წარმომადგენლობამ, ადმინისტრაციული საჩივარი შეიტანა მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოში, შინაგან საქმეთა

სამინისტროს, რუსთავის პოლიციის უფროსის ბ-ნი თ. ა.- ს, საქმეში მონაწილე პოლიციის განყოფილების ხელმძღვანელის ბ-ნი ლ.გ.-სა და პოლიციელი ბ-ნი კ.ზ.-ს წინააღმდეგ. ისინი ამტკიცებდნენ, რომ თანამდებობის პირებმა არ შეასრულეს მათი სამსახურებრივი მოვალეობები და დაარღვიეს კონვენციის მე-8-მე-11, მე-13 და მე-14 მუხლები.

50. კერძოდ, მომჩივნები ითხოვდნენ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯაროდ მოეხადა ბოდიში პოლიციის შესახებ კანონის მე-8 მუხლის ჰ[4] (ანუ 37-ე) პუნქტის თანახმად და მისი თანამშრომლების მიმართ დაეწყო დისციპლინური საქმის წარმოება. მომჩივნები ასევე ითხოვდნენ კომპენსაციას მატერიალური და მორალური ზიანისთვის სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, და რომ ქვეყნის ყველა პოლიციის განყოფილებაში გადაგზავნილიყო მითითება, რომელიც გაითვალისწინებდა იეჰოვას მოწმეთა უფლებების დაცვას. მათ გაამახვილეს სასამართლოს ყურადღება იეჰოვას მოწმეების მიმართ ძალადობის გავრცელებაზე, ისინი ითხოვდნენ, რომ სასამართლოს გამოეტანა ოფიციალური გადაწყვეტილება მათ საქმეზე კანონის შესაბამისად, რადგან, მომჩივანთა აზრით, სათანადო სასამართლო გადაწყვეტილება ხელს შეუწყობდა ამგვარი ძალადობის შეჩერებას.

51. სასამართლომ მოუსმინა სამ მომჩივანსა და იეჰოვას სხვა მოწმეებს, რომლებიც გახდნენ თავდასხმის მსხვერპლნი. ყველა მათგანის საჩივარი შეეხებოდა იმ პოლიციელების პასიურობას, ვინც იმყოფებოდა შემთხვევის ადგილზე. ბ-ნმა გოგელაშვილმა აღნიშნა, რომ როდესაც თავდასხმა დაიწყო, ის წავიდა პოლიციის განყოფილებაში, რომელიც მდებარეობდა მისი შენობიდან დაახლოებით ასი მეტრის მოშორებით. გარკვეული დაყოვნების შემდეგ ორი პოლიციელი გაჰყვა მას შემთხვევის ადგილზე. მან დაინახა, რომ წიგნებს და ავეჯს ყრიდნენ ფანჯრიდან. პოლიციელებმა არავითარ ზომას არ მიმართეს. შემდეგ მან აირბინა კიბე და ავიდა თავის ბინაში, რომ აეღო ფული, რომელსაც კარადაში ინახავდა. მან აღმოაჩინა, რომ კარადის კარი გატეხილი იყო და თანხა 130 ევროს ოდენობით მოპარული იყო. ბ-ნი გოგელაშვილი აღნიშნავდა, რომ პოლიციელები არ ჩაერივნენ, რათა აღეკვეთათ მისი კერძო საკუთრების ხელყოფის ფაქტი ან დაეცვათ დაზარალებულები.

52. ბ-ნმა ყურუამ განაცხადა, რომ თავდამსხმელების ბრძანების შესაბამისად, ბინის დატოვებისთანავე, ის წავიდა პოლიციის

განყოფილებაში, სადაც გაიგო, რომ განგაში უკვე ატეხილი იყო. მან სთხოვა, რომ პოლიციელები გაჰყოლოდნენ მას, რათა „დაეშინებინათ“ თავდამსხმელები. პოლიციელებმა უარი უთხრეს მას გაყოლაზე.

53. ბ-ნმა ჩუბინიძემ განაცხადა, რომ თავდასხმის დროს მან ბინიდან დარეკა პოლიციაში, მაგრამ ტელეფონის მეორე მხარეს მოპასუხე პირმა მაშინვე დაუკიდა მას ყურმილი. მაშინ ის იძულებული გახდა დამორჩილებოდა ბრძანებებს და დაეტოვებინა ბინა. მან მოახერხა, უკან გამოერთმია ჩანთა თავდამსხმელისთვის, რომელმაც მას ჩანთა წაართვა.

54. 2002 წლის 10 მაისს სასამართლომ გადაწყვიტა ამოერიცხა საქმე განსახილველ საქმეთა ნუსხიდან საჩივრის გამოხმობის შესახებ წერილის საფუძველზე, რომელიც თითქოსდა ხელმოწერილი იყო მომჩივნების მიერ. 2002 წლის 5 ივნისს მათ შეიტანეს საჩივარი, სადაც აღნიშნული იყო, რომ წერილზე არსებული ხელმოწერები იყო გაყალბებული და რომ მათ არასდროს გამოუხმიათ საჩივარი. 2002 წლის 16 დეკემბერს სააპელაციო სასამართლომ გააუქმა 2002 წლის 10 მაისის გადაწყვეტილება და საქმის წარმოება განახლდა.

55. მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს მიერ დაკითხვისას შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი ამტკიცებდა, რომ არ იქნა დადგენილი შემთხვევის ადგილზე პოლიციის ყოფნის ფაქტი, და ითხოვდა, არ დაკმაყოფილებულიყო მომჩივნების საჩივარი. თვითონ პოლიციელები არ დაესწრნენ მოსმენას ზედიზედ ორჯერ. 2003 წლის 16 ივლისს სასამართლომ არ დააკმაყოფილა საჩივარი უსაფუძვლობის გამო, რამდენადაც იძულებული იყო გადაწყვეტილება გამოეტანა მათი არყოფნის პირობებში. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2001 წლის 27 მარტს მომჩივნებს თავს დაესხა პირთა ჯგუფი ბ-ნი ბლუაშვილის ხელმძღვანელობით. თუმცა, მან მიიჩნია, რომ მომჩივნებმა ვერ დაამტკიცეს, პოლიცია იყო შემთხვევის ადგილზე ან პოლიცია პასიურად უყურებდა, თუ როგორ ხდებოდა საკუთრებისა და რელიგიის თავისუფლების საწინააღმდეგო ქმედების ჩადენა. შესაბამისად, ვერ დადგინდა პოლიციელების მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შეუსრულებლობა სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილის მნიშვნელობის ფარგლებში. მიუხედავად ამისა, იგივე გადაწყვეტილებაში სასამართლომ დაადასტურა, რომ თავდასხმის შესახებ შეტყობინების მიღების

შემდეგ პოლიციელები მივიდნენ შემთხვევის ადგილზე, რის შედეგადაც მოხდა გადაწყვეტილების მიღება თავდამსხმელებზე გამოძიების დაწყების შესახებ. სასამართლოს განცხადებით, ამ უკანასკნელი სისხლის სამართლის საქმის წარმოების კონტექსტში მომჩივნების მხრიდან კანონიერი იქნებოდა კომპენსაციის მოთხოვნით სარჩელის შეტანა იმ პირების წინააღმდეგ, რომლებმაც დაარღვიეს მათი უფლებები. გადაწყვეტილებაში მოხსენებული არ იყო რუსთავის ბაზარზე ლიტერატურის დაწვის ფაქტი.

56. 2004 წლის 25 ივნისს თბილისის საოლქო სასამართლომ უცვლელი დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მასში მითითებული საფუძვლების განმეორებით. სხდომას არ ესწრებოდა არც შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი და არც პოლიციელები.

57. 2005 წლის 2 მარტს უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა მომჩივნების საჩივარი სამართლებრივი ნორმების დარღვევის თაობაზე. სასამართლომ დაასკვნა, რომ პოლიციის მიერ მოვალეობების განზრახ ან გაუფრთხილებლობით დარღვევის ფაქტი არ დადასტურდა.

II. შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა

A. საქართველოს კონსტიტუცია

58. კონსტიტუციის შესაბამის მუხლებში ვკითხულობთ:

მუხლი 9

„სახელმწიფო აღიარებს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში, ამასთან ერთად აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას, ეკლესიის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან.“

მუხლი 19

“1. ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება.

2. დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.

3. დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს.“

B. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

59. სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელმწიფო მოსამსახურის მიერ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით გადაცდომის გამო პირისთვის მიყენებული ზიანი უნდა ანაზღაურდეს სახელმწიფოს მიერ.

III. მთავრობათაშორისი და არასამთავრობო ორგანიზაციების შესაბამისი ანგარიშები

60. მთავრობათაშორისი და არასამთავრობო ორგანიზაციების შესაბამისი ანგარიშები შეჯამებულია გადაწყვეტილებებში *გლდანის კონგრეგაციის 97 წევრისა და ოთხი სხვა პირის* და *ბეღელური და სხვების საქმეებზე* (შესაბამისად §§ 71-76 და §§ 73-81, ორივე მითითებულია ზემოთ).

კანონმდებლობა

I. მოქმედების სფერო

A. მხარეთა არგუმენტები

61. მთავრობამ აღნიშნა, რომ ვერ მოხდება N 1 და N 4 საქმეების ხელახალი შესწავლა სასამართლოს მიერ, რადგან ისინი წარმოადგენს 2014 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილების საგანს (საქმე *ბეღელური და სხვები*, მითითებულია ზემოთ).

62. საპასუხოდ მომჩივნებმა განაცხადეს, რომ ზემოთ ხსენებულ გადაწყვეტილებაში საქმე ეხებოდა სისხლის სამართლის სისტემის სავარაუდო არაეფექტურობას ფართოდ გავრცელებული რელიგიური მოტივით ძალადობის ფონზე, რომელმაც მოცემულ დროს მოიცვა მთელი საქართველო. თუმცა, წინამდებარე საქმეში წამოწეული იყო სავარაუდოდ სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლებრივი დაცვის საშუალებების არაეფექტურობის კონკრეტული საკითხი.

B. სასამართლოს შეფასება

63. კონვენციის 35-ე მუხლის მე-2(b) პუნქტში ვკითხულობთ:

„სასამართლო მიუღებლად ცნობს 34-ე მუხლის შესაბამისად წარდგენილ საჩივარს, თუ ის ... არსებითად იგივეა, რაც სასამართლოს მიერ უკვე განხილული საჩივარი ...“

64. აქედან გამომდინარე, სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ N1 საქმეში N 1-3 მომჩივნების და N4 საქმეში N 8-10 მომჩივნების მიერ სასამართლოში შეტანილი ორი საჩივარი საქმეთა შესაბამის ნაწილებში ძირითადად ეხება ერთსა და იმავე პირებს, ფაქტებსა და საჩივრებს (იხ. საქმე *Verein gegen Tierfabriken Schweiz (VgT) შვეიცარიის წინააღმდეგ (no. 2)* [GC], no. 32772/02, § 63, ECHR 2009).

65. სასამართლო აღნიშნავს, რომ *ბელელური და სხვების* საქმეში სასამართლოს მეოთხე სექციამ შეისწავლა მომჩივნების მიერ კონვენციის მე-3, მე-6, მე-9, მე-10, მე-11, მე-13 და მე-14 მუხლების საფუძველზე შეტანილი საჩივრები რელიგიური მოტივით ძალადობის შესახებ, რომელიც განხორციელდა მათ მიმართ მოპასუხე სახელმწიფოში, და შესაბამისი ორგანოების მიერ სავარაუდო დარღვევების თავიდან აცილების, შეჩერების ან მათი შედეგების გამოსწორების უზრუნველყოფის შეუძლებლობის შესახებ. სასამართლომ დაადგინა მე-3 და მე-9 მუხლების დარღვევა ცალ-ცალკე და მე-14 მუხლთან ერთობლიობაში ყველა მომჩივანთან მიმართებით და მიიჩნია, რომ არ იყო აუცილებელი იგივე სასარჩელო მოთხოვნების განხილვა კონვენციის მე-6, მე-10 და მე-11 მუხლების თანახმად (იხ. საქმე *ბელელური და სხვები*, § 181, მითითებულია ზემოთ). სასამართლომ ასევე დაასკვნა, რომ ცალკე საკითხი არ წამოჭრილა კონვენციის მე-13 მუხლის საფუძველზე (იქვე, § 167).

66. სასამართლო აღნიშნავს, რომ წინამდებარე საქმე, იმდენად, რამდენადაც ეხება საქმეებს N 1 და N 4, დაკავშირებულია ძალადობის ერთსა და იმავე ინციდენტებთან. ამგვარად, ერთი და იგივე მომჩივნები პრეტენზიას გამოთქვამენ ერთსა და იმავე ძირითად ფაქტებზე. მართალია, წინამდებარე საჩივარში ისინი ასევე ეყრდნობიან კონვენციის მე-8 მუხლსა და დამატებითი ოქმის პირველ მუხლს. თუმცა, როგორც სასამართლომ არაერთხელ აღნიშნა, საჩივარი კვალიფიცირდება მასში ნავარაუდები ფაქტებით და არა უბრალოდ იმ სამართლებრივი საფუძვლებითა და

არგუმენტებით, რომლებსაც ის ეყრდნობა (იხ. საქმე *გუერა და სხვები იტალიის წინააღმდეგ (Guerra and Others v. Italy)* [GC], 1998 წლის 19 თებერვალი, *Reports of Judgments and Decisions* 1998-I), და ახალი სამართლებრივი საფუძვლები ან არგუმენტები, რომლებსაც ის ეყრდნობა, ვერ შეცვლის საჩივრის არსს (იხ. საქმე *ი. ჯ. ლ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (I.J.L. v. the United Kingdom)* (dec.), no. 39029/97, 1999 წლის 6 ივლისი).

67. რაც შეეხება სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლებრივი დაცვის საშუალებების სავარაუდო არაეფექტურობის საკითხს, რაც ახალია *ბეღელური და სხვების* საქმესთან მიმართებით, სასამართლო აღნიშნავს პრეცედენტულ სამართალს, რომლის მიხედვითაც ადგილობრივ დონეზე შესაბამისი საქმის წარმოება უნდა ჩაითვალოს ხელმისაწვდომ დაცვის შიდასამართლებრივი საშუალების უბრალო გამოყენებად და ვერ გაუტოლდება ახალ ან დამოუკიდებელ ჩარევას, კონვენციის თანახმად საქმის შესწავლის მიზნით (იხ., შესაბამისი ცვლილებების გათვალისწინებით, საქმე *ბლეჩიჩი ხორვატიის წინააღმდეგ (Blečić v. Croatia)* [GC], no. 59532/00, § 78, ECHR 2006-III).

68. ზემოთ მოყვანილი განხილვიდან გამომდინარე საჩივარი, იმდენად, რამდენადაც ეხება N 1 და N 4 საქმეებს, არის მიუღებელი კონვენციის 35-ე მუხლის მე-2(b) და მე-4 პუნქტების თანახმად.

II. კონვენციის მე-9 მუხლის სავარაუდო დარღვევა ცალკე და მე-14 მუხლთან ერთობლიობაში

69. მომჩივნებმა წარმოადგინეს საჩივარი კონვენციის მე-9 და მე-14 მუხლების თანახმად იმასთან დაკავშირებით, რომ სარწმუნოების თავისუფლად მიმდევრობის უფლება, სხვა საშუალებათა შორის, შეხვედრებისა და რელიგიური ლიტერატურის გავრცელებით, დაირღვა. მე-9 და მე-14 მუხლებში ვკითხულობთ:

მუხლი 9

„1. ყველას აქვს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს რელიგიის ან რწმენის შეცვლის თავისუფლებას, აგრეთვე, თავისუფლებას იმისა, რომ ცალკე ან სხვებთან ერთად, საქვეყნოდ ან განკერძოებით, გაამჟღავნოს თავისი რელიგია თუ რწმენა აღმსარებლობით, ქადაგებით, წესებისა და რიტუალების აღსრულებით.

2. რელიგიის ან რწმენის გამჟღავნების თავისუფლება მხოლოდ იმ პირობით შეიზღუდება, თუ ასეთი შეზღუდვა გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობისა ან მორალის, ანდა სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად."

მუხლი 14

"ამ კონვენციით გაცხადებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა ნიშნის განურჩევლად."

A. მისაღებობა

1. მხარეთა მოსაზრებები

70. მთავრობა ამტკიცებდა, რომ მომჩივნების საჩივრები იყო აშკარად უსაფუძვლო იმის გათვალისწინებით, რომ არ დადასტურდა სახელმწიფო წარმომადგენლების მონაწილეობა რომელიმე სავარაუდო ინციდენტში. შესაბამის საქმეებში დაუსაბუთებულობის მიზეზით ეროვნულმა სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს მომჩივანთა ბრალდებები სავარაუდო ძალადობრივ ინციდენტებში პოლიციელების მონაწილეობასთან დაკავშირებით და, მთავრობის პოზიციის თანახმად, სასამართლოს არ ჰქონდა ამ დასკვნების ხელახალი შესწავლის საშუალება (იხ. საქმე *გუიდი იტალიის წინააღმდეგ (Guidi v. Italy)* (dec.), no. 37755/97, 2000 წლის 7 ნოემბერი). გარდა ამისა, მომჩივნებს შეეძლოთ და უნდა შეეტანათ საჩივარი პროკურატურაში ძალადობრივ შემთხვევებთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, მთავრობამ განაცხადა, რომ მომჩივნებმა არ ამოწურეს მათთვის ხელმისაწვდომი დაცვის შიდასამართლებრივი საშუალებები.

71. მომჩივნებმა სადავო გახადეს მთავრობის მტკიცებები. უპირველეს ყოვლისა, სასამართლოში წარდგენილ უამრავ მტკიცებულებასთან მიმართებით ისინი ამტკიცებდნენ, რომ მათი ბრალდებები რელიგიური მოტივით დევნასთან დაკავშირებით სათანადოდ იყო დასაბუთებული. ის ფაქტი, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა უარყვეს მათი ბრალდებები ინციდენტებში პოლიციის მონაწილეობასთან დაკავშირებით, უბრალოდ

მიუთითებდა სასამართლო სისტემის არაეფექტურობაზე, რელიგიური მოტივით ძალადობასთან დაკავშირებული საჩივრების ფონზე.

2. სასამართლოს შეფასება

72. რაც შეეხება მთავრობის განცხადებას საშუალებების არამოწურვის შესახებ, სასამართლო აღნიშნავს შემდეგს: მომჩივნებმა იმთავითვე მკაფიოდ დააფიქსირეს - წინამდებარე საჩივრის ძირითადი მიზანი იყო, რომ სასამართლოს წინაშე სადავოდ გაეხადათ სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლებრივი დაცვის საშუალებების სრულფასოვნება და ეფექტურობა საქართველოში რელიგიური მოტივით ძალადობის მიმართ სახელმწიფოს მიერ სავარაუდო შემწყნარებლობის ფონზე. (იხ. ზემოთ მოცემული 62-ე პარაგრაფი). წინამდებარე საქმეში არსებული რელიგიური მოტივით ძალადობის სამივე სავარაუდო ინციდენტთან დაკავშირებით მათ ამოწურეს ხელმისაწვდომი სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლებრივი დაცვის საშუალებები სასამართლო სისტემის სამივე დონის გავლით, რაც მთავრობას სადავოდ არ გაუხდია. დამატებითი სამართლებრივი დაცვის საშუალებები, რომლებიც მთავრობამ წარმოადგინა თავის განცხადებაში, არის სისხლის სამართლის საქმის წარმოება. თუმცა, სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივნები ვალდებული არ არიან მიმართონ ყველა შესაძლო სამართლებრივი დაცვის საშუალებას. მათ უფლება აქვთ აირჩიონ ყველაზე მისაღები სამართლებრივი დაცვის საშუალება სახელმწიფოს წინააღმდეგ, და ვალდებული არ არიან ამოწურონ სხვა სამართლებრივი დაცვის საშუალებები, თუ ეს საშუალება წარუმატებელი აღმოჩნდება (იხ., *სხვა საქმეებთან ერთად*, საქმე *მიქალეფი მალტის წინააღმდეგ (Micallef v. Malta)* [GC], no. 17056/06, § 58, ECHR 2009).

73. წინამდებარე საქმეში მომჩივნებმა აირჩიეს სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლებრივი დაცვის საშუალებები, რომლებიც მათ სრულად ამოწურეს. საჩივრით გათვალისწინებულ საკითხებზე გამახვილდა შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების ყურადღება, რომლებსაც ჰქონდათ მათთვის სამართლებრივი დაცვის საშუალების უზრუნველყოფის შესაძლებლობა. მათი წარუმატებლობა არანაირად არ გულისხმობდა დამატებით ვალდებულებას მიემართათ სამართლებრივი დაცვის საშუალებებისთვის სისხლის სამართლის საქმის წარმოების გზით.

შესაბამისად, უარყოფილ იქნა მთავრობის განცხადება არამოწურვის შესახებ.

74. სასამართლო ასევე მიიჩნევს, რომ საჩივრის ეს ნაწილი არ არის აშკარად უსაფუძვლო კონვენციის 35-ე მუხლის მე-3(a) პუნქტის მნიშვნელობით. სასამართლო ამასთან აღნიშნავს, რომ არანაირი სხვა საფუძველი არ არსებობს, ეს საჩივარი განსახილველად არ იქნას მიღებული. შესაბამისად, საჩივარი მისაღებად უნდა გამოცხადდეს.

B. არსებითი მხარე

1. მხარეთა მოსაზრებები

75. მთავრობა ინარჩუნებდა თავის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ არცერთ სახელმწიფო წარმომადგენელს არ მიუღია მონაწილეობა მომჩივნების მიერ დასახელებულ ინციდენტებში. ეს ცალსახად დადგინდა ეროვნული სასამართლოების მიერ შესაბამისი საჩივრების განხილვის პროცესში. აღნიშნულთან დაკავშირებით მათ მიუთითეს, რომ მომჩივნებმა ვერ შეძლეს საპირისპირო მტკიცებულების წარდგენა ვერც ადგილობრივ დონეზე და ვერც ევროპული სასამართლოს წინაშე. მთავრობის პოზიციის თანახმად, ადგილობრივ დონეზე საქმის წარმოების პროცესში მომჩივნებმა ვერ დაასახელეს ის პოლიციელები, რომელთა მოქმედებამ ან უმოქმედობამ ზიანი მიაყენა მათ ინტერესებს და დაარღვია მათი უფლებები. ანალოგიურად, ისინი ამტკიცებდნენ, რომ სახელმწიფომ შეინარჩუნა ნეიტრალური როლი სხვადასხვა რელიგიურ ჯგუფებს შორის ურთიერთობებში. ის ფაქტი, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა გამოიტანეს გადაწყვეტილება მომჩივანთა წინააღმდეგ, არ მიანიშნებდა მათი უფლებების დარღვევაზე კონვენციიის მე-9 მუხლის თანახმად.

76. მომჩივნებმა უარყვეს მთავრობის არგუმენტები. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა უბრალოდ უგულებელყვეს დიდი რაოდენობით მოწმეთა ჩვენებები და დოკუმენტური მტკიცებულებები მათი რელიგიის თავისუფლების უფლების სხვადასხვა დარღვევასთან დაკავშირებით. ისინი მიუთითებდნენ საქმეზე *კუზნეცოვი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (Kuznetsov and Others v. Russia)*, (no. 184/02, 2007 წლის 11 იანვარი), სადაც დაადგინა კონვენციის მე-9 მუხლის დარღვევის

ფაქტი, სასამართლო დაეყრდნო იმ მტკიცებულებას, რომელიც უარყოფილ იქნა ეროვნული სასამართლოების მიერ (იქვე, §§ 58-59). მომჩივნებმა განაცხადეს, რომ მთავრობამ ვერ გააქარწყლა არგუმენტები და რომ აღნიშნულთან დაკავშირებით ადგილობრივ დონეზე მიღებული გადაწყვეტილებები იყო მთლიანად მიკერძოებული და დაუსაბუთებელი. ეს განსაკუთრებით ცხადი იყო სხვადასხვა საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ანგარიშიდან გამომდინარე, რომლებიც ეხებოდა მოცემულ დროს საქართველოში მზარდ რელიგიური მოტივებით ძალადობასა და სახელმწიფო ორგანოების არაადეკვატურ რეაგირებას (იხ. ზემოთ მოცემული მე-60 პარაგრაფი).

2. სასამართლოს შეფასება

(a) ზოგადი პრინციპები

77. შესაბამისი ზოგადი პრინციპები კონვენციის მე-9 და მე-14 მუხლებთან დაკავშირებით შეჯამებულია *ბელელური და სხვების* საქმეში (მითითებულია ზემოთ, §§ 156-160 და 173).

(b) აღნიშნული პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმეში

78. სასამართლომ დასაწყისშივე აღნიშნა, რომ მას არ შეუძლია ცალკე განიხილოს წინამდებარე საქმეში არსებული სავარაუდო ძალადობის ინციდენტები, არამედ უნდა განიხილოს ისინი მოცემულ დროს საქართველოში არსებული საერთო მდგომარეობის კონტექსტში. ამ მიზნით, საწყის წერტილად სასამართლო აიღებს დასკვნას, რომელიც მან გამოიტანა *ბელელური და სხვების* საქმეზე (მითითებულია ზემოთ), რომლის შესაბამის ნაწილში ვკითხულობთ:

> „145. ... საქართველოს ხელისუფლების ორგანოებმა, თავიანთი წარმომადგენლების მეშვეობით, რომლებიც ან თვითონ მონაწილეობდნენ იეჰოვას მოწმეებზე თავდასხმებში ან კერძო პირების უკანონო ქმედებებზე უსიტყვო თანხმობითა ან მათი მხარდაჭერით, შექმნეს დაუსჯელობის ატმოსფერო, რომელმაც, საბოლოო ჯამში, წაახალისა იეჰოვას მოწმეებზე სხვა თავდასხმების განხორციელება მთელი ქვეყნის მასშტაბით. გარდა ამისა, მოპასუხე მთავრობამ, იმის გამო, რომ აშკარად არ ჰქონდა სურვილი განეხორციელებინა აღნიშნულ ქმედებებზე პასუხისმგებელი პირების დაუყოვნებელი და სამართლიანი სისხლისსამართლებრივი დევნა და დასჯა, ვერ მოახერხა აღნიშნული ძალადობრივი აქტების შედეგების გამოსწორება, რითაც უგულებელყო აუცილებელი პრევენციული და

შემაკავებელი ეფექტი იეჰოვას მოწმეთა წინააღმდეგ მომავალში მოსალოდნელ ძალადობრივ აქტებთან მიმართებით.”

და

„165. აქედან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ თავისი მონაწილეობით, მხარდაჭერით ან, სულ მცირე, მდუმარე თანხმობით, შესაბამისმა ორგანოებმა ვერ შეასრულეს თავიანთი მოვალეობა, მიეღოთ აუცილებელი ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ იეჰოვას მოწმეებს შეძლებოდათ რელიგიის თავისუფლების უფლების განხორციელება. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების დამოკიდებულებამ ხელი შეუწყო რელიგიური მოტივით ძალადობის გაღრმავებას...“

79. გარდა ამისა, სასამართლო აღნიშნავს, რომ მტკიცებულების შეფასებისას სამართლომ გამოიყენა "გონივრულ ეჭვს მიღმა" მტკიცების სტანდარტი. თუმცა, მისი მიზანი არასდროს ყოფილა გადაეღო იმ ეროვნულ სამართლებრივ სისტემათა მიდგომა, რომლებიც იყენებენ ამ სტანდარტს. სასამართლოს ფუნქციას წარმოადგენს გადაწყვეტილების გამოტანა არა ბრალეულობასთან ან სამოქალაქო პასუხისმგებლობასთან, არამედ ხელშემკვრელი სახელმწიფოების კონვენციით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით. კონვენციის მე-19 მუხლის თანახმად, სასამართლოს ამოცანის სპეციფიკურობა - უზრუნველყოს ხელშემკვრელი სახელმწიფოების ჩართულობა კონვენციით დადგენილი ძირითადი უფლებების უზრუნველყოფის მიზნით - განაპირობებს მის დამოკიდებულებას მტკიცებულებისა და მტკიცების საკითხებისადმი (იხ. საქმე *ნაჩოვა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ (Nachova and Others v. Bulgaria)* [GC], nos. 43577/98 და 43579/98, § 147, ECHR 2005-VII). სასამართლოს გამოაქვს დასკვნები, რომლებიც, მისი აზრით, გამყარებულია ყველა მტკიცებულების თავისუფალი შეფასებით, მათ შორის ისეთი დასკვნები, რომლებიც შესაძლოა გამომდინარეობდეს მთლიანად ფაქტებიდან და მხარეთა წარდგინებებიდან. სასამართლოს დადგენილი პრეცედენტული სამართლის მიხედვით, მტკიცება შეიძლება გამომდინარეობდეს საკმარისად მტკიცე, აშკარა და თანმხვედრი დასკვნების ან მსგავსი უტყუარი ფაქტობრივი პრეზუმფციის თანაარსებობიდან (იქვე). აღნიშნულთან დაკავშირებით, სასამართლო პრაქტიკა იძლევა მოქნილობის საშუალებას იმ მატერიალური უფლების ხასიათის გათვალისწინებით, რომელსაც საქმე ეხება, და მასთან დაკავშირებული მტკიცებულებითი სირთულეების გათვალისწინებით (იხ. საქმე *ბაკა უნგრეთის წინააღმდეგ (Baka v.*

Hungary) [GC], no. 20261/12, § 143, ECHR 2016, და ამ პარაგრაფში გაკეთებული მითითებები სხვა საქმეებზე).

(i) საქმე N 2

80. სასამართლო დასაწყისშივე აღნიშნავს, რომ მთავრობამ სადავო არ გახადა, როგორც ასეთი, მომჩივნების ბრალდებები 2000 წლის 26 ოქტომბრის ინციდენტის დროს მათი რელიგიური შეხვედრის დაშლასა და რელიგიური ლიტერატურის კონფისკაციასთან დაკავშირებით. მთავრობამ მხოლოდ აღნიშნა, რომ ამ ინციდენტში თანამდებობის პირებს წვლილი არ მიუძღვით (იხ. 75-ე პარაგრაფი). სასამართლოს აქვს შემდეგი მოსაზრებები. ადგილობრივ დონეზე საქმის წარმოების დროს მომჩივნებმა და სხვა თვითმხილველებმა დაასახელეს სამი პოლიციელი, რომლებმაც სავარაუდოდ მონაწილეობა მიიღეს 2000 წლის 26 ოქტომბერს რელიგიური შეკრების დარბევაში (იხ. მე-17 პარაგრაფი). ერთ-ერთმა პოლიციელმა, ს.ხ.-მ, ეროვნული სასამართლოების წინაშე აღიარა, რომ მისმა კოლეგამ გ.ნ.-მ ნამდვილად სთხოვა მომჩივნებს და სხვა იეჰოვას მოწმეებს „შეეჩერებინათ შეხვედრა“, რათა თავიდან აეცილებინათ მოწინააღმდეგე ხალხის ჯგუფთან დაპირისპირება (იხ. 21-ე პარაგრაფი). იმ ვარაუდის გათვალისწინებითაც კი, რომ პოლიციელების აღნიშნული თხოვნა არ მოიცავდა დამცირებას ან შეურაცხყოფას, ის წარმოადგენს კონვენციის მე-9 მუხლით დაცული მომჩივანთა უფლებების ხელყოფას (იხ. საქმე *კრუპკო და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (Krupko and Others v. Russia)*, no. 26587/07, § 49, 2014 წლის 26 ივნისი, და საქმე *დიმიტროვა ბულგარეთის წინააღმდეგ (Dimitrova v. Bulgaria)*, no. 15452/07, § 28, 2015 წლის 10 თებერვალი). იმის გათვალისწინებით, რომ თხოვნა განხორციელდა მხოლოდ ერთი პოლიციელის მიერ, მისი ქმედებები აშკარად მოიცავს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას, მიუხედავად იმისა, ის მოქმედებდა უფლებამოსილების გადამეტებით თუ არა (იხ. საქმე *მოლდოვანი და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ (Moldovan and Others v. Romania) (no. 2),* nos. 41138/98 და 64320/01, § 94, ECHR 2005-VII (ამონარიდები)).

81. შემდეგი საკითხი, რომელიც უნდა განიხილოს სასამართლომ, არის ის, გამართლებული იყო თუ არა ამგვარი ჩარევა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „გათვალისწინებული იყო თუ არა ეს კანონით“, ემსახურებოდა თუ არა ის კონვენციის მე-9

მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ლეგიტიმურ მიზანს და იყო თუ არა „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“. თავის განცხადებებში მთავრობა საერთოდ არ შეხებია ამ საკითხს (იხ. 75-ე პარაგრაფი). რაც შეეხება ეროვნულ სასამართლოებს, მათ უბრალოდ გაიზიარეს პოლიციელების ვერსია (იხ. 23-ე პარაგრაფი). სასამართლო აღნიშნავს, რომ არ იქნა წარმოდგენილი მტკიცებულება, რომელიც წარმოაჩენდა მომჩივანთა რელიგიური უფლებების ამ დონის, ან საერთოდ ხელყოფის აუცილებლობას, მოცემული სიტუაციიდან გამომდინარე. არცერთმა ეგრეთ წოდებულმა მესამე პირმა არ მისცა ჩვენება აღნიშნულთან დაკავშირებით (იხ. *კრუპკოს (Krupko) საქმე,* § 51, მითითებულია ზემოთ). ნებისმიერ შემთხვევაში, საქმის მასალების მიხედვით, ეს იყო დაახლოებით ოცდაათი იეჰოვას მოწმის მშვიდობიანი შეხვედრა, რომელიც იმართებოდა ბ-ნი ალიევის სახლში. არც ეროვნულმა სასამართლოებმა ადგილობრივ დონეზე საქმის წარმოებისას და არც მთავრობამ სასამართლოს წინაშე არ მიუთითა კანონი, რომელიც მომჩივნებმა დაარღვიეს თავიანთ სახლში შეკრებით. თავიანთ გადაწყვეტილებებში ეროვნულმა სასამართლოებმა უბრალოდ გამოტოვეს განხილვა იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ იყო შეკრების დარბევა „კანონიერი“ და „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“. აღნიშნულ გარემოებებში სასამართლომ დაადგინა, რომ მთავრობამ ვერ გაამართლა ჩარევა.

82. ინციდენტი ასევე უნდა დავინახოთ რელიგიური შეუწყნარებლობის კუთხით, რომელსაც იეჰოვას მოწმეები განიცდიდნენ საქართველოში მოცემულ დროს (იხ. მე-60 და 78-ე პარაგრაფები). მომჩივნები ამტკიცებდნენ, რომ შეკრების დარბევისას ისინი იყვნენ შეურაცხყოფილი და დამცირებული მათი რელიგიური მრწამსის გამო. ამის შემდეგ, მომჩივნები, კერძოდ, შეკრების მასპინძელი და პასტორი, გადაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში, სადაც ისინი აიძულეს დაეწერათ ხელწერილი, რომ მომავალში აღარ გამართავდნენ რელიგიურ შეხვედრებს (იხ. მე-18 და 22-ე პარაგრაფები). საქმის წარმოების არცერთ ეტაპზე არ უცდიათ ეროვნულ სასამართლოებს გადაემოწმებინათ პოლიციელების ქმედების მიღმა არსებული შესაძლო დისკრიმინაციული მოტივი. გარდა ამისა, მათ არ უკითხავთ პოლიციისთვის, რელიგიური შეკრების დაშლის ნაცვლად თუ რატომ არ მიიღეს ზომები მომჩივანთა რელიგიის თავისუფლების

უფლების სათანადო დაცვის უზრუნველსაყოფად, სხვა ზომებთან ერთად, შეხვედრის უსაფრთხოდ წარმართვის უზრუნველყოფით.

83. ზემოთ მოცემულიდან გამომდინარე, სასამართლო ადგენს, რომ ადგილი აქვს კონვენციის მე-9 მუხლის დარღვევას ცალკე და მე-14 მუხლთან ერთობლიობაში N 4 და N 5 მომჩივნებთან მიმართებით 2000 წლის 26 ოქტომბერს მათი რელიგიური შეკრების დაშლისა და, შემდეგომში, ეროვნული სასამართლო პროცესებიდან გამომდინარე.

(ii) საქმე N 3

84. ამ საქმის შემთხვევაში, ეროვნულმა სასამართლოებმა დაადგინეს, რომ მომჩივნის ბრალდებები პოლიციელების ძალადობრივ და შეურაცხმყოფელ ქცევასთან დაკავშირებით იყო დაუსაბუთებელი (იხ. 32-ე, 34-ე და 36-ე პარაგრაფები). როგორც ასეთი, ეროვნული სასამართლოების მსჯელობის განუხილველად, სასამართლო იმთავითვე კონცენტრირებას მოახდენდა მოსამართლეთა დამოკიდებულებაზე, რომელმაც განსაზღვრა მათ მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების ხასიათი. აღნიშნულთან დაკავშირებით, პოლიციის მხრიდან სავარაუდო ძალადობის თაობაზე ორი იეჰოვას მოწმის მიერ შეტანილი საჩივრის განხილვისას პირველი ინსტანციის სასამართლომ თავისი გადაწყვეტილების წინასწარ შენიშვნაში მიუთითა: „ცნობილია, რომ ბევრი იეჰოვას მოწმე უხეშად არღვევს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებს და ხშირად თავის მოსაზრებასა და რწმენას თავს ახვევს სხვებს, ამგვარად კი არღვევს მათ უფლებებს“ (იხ. 32-ე პარაგრაფი). გარდა ამისა, სასამართლომ უარი თქვა მომჩივანთა რამდენიმე მოწმეზე, სხვა საფუძვლებთან ერთად, იმ მოტივით, რომ ისინი იყვნენ იეჰოვას მოწმეები (იხ. 32-ე პარაგრაფი). ეს უკანასკნელი არგუმენტი შემდეგომში დაამტკიცა სააპელაციო სასამართლომ, მაშინ როდესაც იეჰოვას მოწმეების მიერ კონსტიტუციის ხშირი დარღვევის შესახებ შესავალი ფრაზა შეუმჩნეველი დარჩა სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებს. ამ კონტექსტში, სასამართლოსთვის რთულია მიიღოს მთავრობის არგუმენტი იმასთან დაკავშირებით, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა სათანადოდ შეისწავლეს მომჩივანთა პრეტენზიები. აშკარაა, რომ მომჩივანთა საჩივრების განხილვა იყო უმეტესად ზედაპირული და მიკერძოებული, რის კულმინაციასაც

წარმოადგენდა მოვლენათა პოლიციელების ვერსიის ავტომატურად სინამდვილედ მიჩნევა.

85. რაც შეეხება თვითონ ინციდენტებს, მტკიცებულების სიმწირის მიუხედავად, რაც, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია ადგილობრივ დონეზე საქმის ზედაპირულ განხილვასთან (იხ. 84-ე პარაგრაფი), საქმის მასალებში არსებობს მნიშვნელოვანი მინიშნებები, რაც ასაბუთებს რელიგიური მოტივით ძალადობასთან დაკავშირებით მომჩივნის ბრალდებებს. მათი თანამიმდევრული და დეტალური განცხადებები ეროვნული სასამართლოებისა და ევროპული სასამართლოს წინაშე, რომლებიც დამატებით გამყარებული იყო რამდენიმე მოწმის განცხადებებით, სათანადოდ ვერ გააქარწყლა მთავრობამ. მოცემულ დროს ქვეყნის მასშტაბით იეჰოვას მოწმეების მიმართ რელიგიური მოტივით ძალადობის უფრო ფართო კონტექსტში, სასამართლომ დაასკვნა, რომ N 6 და N 7 მომჩივნები გახდნენ პოლიციის მიერ ძალადობის მსხვერპლი, მათი რელიგიური მრწამსის გამო. აქედან გამომდინარე, სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-9 მუხლის დარღვევა ცალკე და მე-14 მუხლთან ერთობლიობაში ბ-ნ ძამუკოვთან და ბ-ნ გაბუნიასთან მიმართებით.

(iii) საქმე N 5

86. მხარეები არ დავობენ იმაზე, რომ მოცემულ საქმეში რელიგიური შეხვედრა დარბეულ იქნა კერძო პირების მიერ. ერთადერთი სადავო საკითხი არის ის, დაუშვეს თუ არა პოლიციელებმა, რომ ეს მომხდარიყო. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლოს არ ესმის, თუ როგორ მიიღეს ეროვნულმა სასამართლოებმა პოლიციელების მიერ წარმოდგენილი მოვლენების ვერსია სინამდვილედ, სასამართლოს მიერ მათი შესწავლის შესაძლებლობის გარეშე. გარდა ამისა, ეროვნულმა სასამართლოებმა არ შეისწავლეს მომჩივანთა ბრალდებები იმასთან დაკავშირებით, რომ ერთ-ერთი პოლიციელი ესწრებოდა ინციდენტს. ზემოთ ხსენებული სასარჩელო მოთხოვნის გასამყარებლად წარმოდგენილი ვიდეოჩანაწერი უბრალოდ არ იქნა გათვალისწინებული ეროვნული სასამართლოების მიერ თავიანთ მსჯელობაში. ასევე, სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს მომჩივანთა არგუმენტი იმასთან დაკავშირებით, რომ პოლიციელები, მიუხედავად მათი დაგვიანებული რეაგირებისა, მაინც შეძლებდნენ დარბევის შეჩერებას. ისინი უბრალოდ

დაკმაყოფილდნენ იმ შედეგით, რომ მოვლენებთან დაკავშირებით დაწყებული იქნა *post factum* სისხლის სამართლის გამოძიება. და ბოლო, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს ძალადობრივი ინციდენტის კულმინაცია, რომელსაც წარმოადგენდა მომჩივნებისთვის და სხვა იეჰოვას მოწმეებისთვის ჩამორთმეული რელიგიური ლიტერატურის დღისით-მზისით საჯაროდ დაწვა ღია ბაზარზე, დარბევიდან მეორე დღეს (იხ. 55-ე და 56-ე პარაგრაფები). მომჩივანთა ეს ძირითადი ბრალდება მათი რელიგიის თავისუფლების უფლების უხეშ დარღვევასთან დაკავშირებით უბრალოდ არ იქნა გათვალისწინებული. საქმის ამგვარი ზედაპირული და ცალმხრივი გათვალისწინება, სამართალდამცავთა მიმართ ავტომატურ ნდობასთან და მოვლენათა მომჩივნებისეული ვერსიის დაუსაბუთებელ უარყოფასთან ერთად, სასამართლოს აზრით, წარმოადგენს სასამართლო ხელისუფლების მხრიდან მომჩივანთა წინააღმდეგ ჩადენილ ძალადობრივ ქმედებებზე თვალის დახუჭვას. ასეთი დასკვნა კიდევ უფრო დამაჯერებელია საქართველოში იეჰოვას მოწმეების მიმართ რელიგიური მოტივით ძალადობაზე სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოს მხრიდან რეაგირების სისტემატური არარსებობის უფრო ფართო კონტექსტში (იხ. მე-60 და 78-ე პარაგრაფები).

87. რაც შეეხება უშუალოდ ინციდენტს, სასამართლო მიიჩნევს, რომ მთავრობას არც ჰქონდა სარწმუნო არგუმენტი და არც წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება, რომელიც გააქარწყლებდა მომჩივანთა ბრალდებებს 2001 წლის 27 მარტს მათი რელიგიური შეხვედრის დაშლასთან და შემდგომში მათი ლიტერატურის საჯაროდ დაწვასთან დაკავშირებით. ამის თაობაზე ადგილობრივ დონეზე მიმდინარე სასამართლო საქმის წარმოება, მათი ხარვეზების გათვალისწინებით (იხ. 86-ე პარაგრაფი), იყო უშედეგო. გარდა ამისა, მთავრობამ ვერ წარმოადგინა კონვენციის მე-9 მუხლით გათვალისწინებული მომჩივანთა უფლებების ასეთი ხელყოფის გასამართლებელი არგუმენტები. ზემოთ ხსენებული განხილვიდან გამომდინარე სასამართლომ დაასკვნა, რომ 2001 წლის 27 მარტს რელიგიური შეხვედრის დარბევა და შემდგომში მომჩივანთა რელიგიური ლიტერატურის განადგურება შეუძლებელი იქნებოდა პოლიციის მხარდაჭერის ან მინიმუმ მდუმარე თანხმობის გარეშე (იხ.საქმე *ბელელური და სხვები*, § 111,

მითითებულია ზემოთ). ეს ფაქტი, რელიგიური მოტივით ძალადობასთან დაკავშირებით მომჩივანთა საჩივრების ეროვნული სასამართლოების მიერ მიკერძოებულ და ზედაპირულ შესწავლასთან ერთად, საკმარისია სასამართლოსთვის, რათა დაადგინოს კონვენციის მე-9 მუხლის დარღვევა ცალკე და მე-14 მუხლთან ერთობლიობაში N 11-13 მომჩივნებთან მიმართებით.

III. კონვენციის მე-6, მე-8, მე-11 და მე-13 მუხლებისა და დამატებითი ოქმის პირველი მუხლის შესაძლო დარღვევა

88. მომჩივნები ამტკიცებდნენ, რომ კონვენციის მე-6, მე-8, მე-11 და მე-13 მუხლებითა და დამატებითი ოქმის პირველი მუხლით გარანტირებული მათი უფლებები დაირღვა ზემოთ აღწერილი ძალადობრივი ქმედებებით.

89. სასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-9 და მე-14 მუხლების საფუძველზე მომჩივანთა მიერ შეტანილი საჩივრების არსს წარმოადგენდა არა მხოლოდ რელიგიური მოტივით ჩადენილი ძალადობა, არამედ ასევე ამის ფონზე ეროვნული სასამართლოების არაეფექტურობა და მიკერძოებულობა (იხ. 62-ე და 76-ე პარაგრაფები). ეს საკითხები შესწავლილ იქნა (იხ. 81-ე-82-ე და 84-ე-86-ე პარაგრაფები), რის შედეგადაც დადგინდა ამ დებულებათა დარღვევა (იხ. 83-ე, 85-ე და 87-ე პარაგრაფები). მოცემულ გარემოებებში სასამართლო ასკვნის, რომ კონვენციის მე-6, მე-8 და მე-11 მუხლების საფუძველზე არ წამოიჭრება ცალკე საკითხები და, ამდენად, არ გამოაქვს ცალკე გადაწყვეტილება (იხ. საქმე *გლდანის კონგრეგაციის 97 წევრი და ოთხი სხვა პირი*, §§ 143-44 და საქმე *ბელელური და სხვები*, § 181, ორივე მითითებულია ზემოთ).

90. რაც შეეხება მომჩივანთა საჩივარს დამატებითი ოქმის პირველი მუხლის საფუძველზე, სასამართლო იმეორებს, რომ დამატებითი ოქმის პირველი მუხლით გათვალისწინებული დაცვის შიდასამართლებრივი საშუალებები, ჩვეულებრივ, არ არის გამოყოფადი სავარაუდო ჩარევის ქმედებიდან. ამგვარად, თუ საკუთრების უფლების დარღვევა მოხდა კონკრეტულ ხელშემკვრელ სახელმწიფოსთან მიმართებით დამატებითი ოქმის ძალაში შესვლამდე და მისი შედეგები არ გამოსწორდა აღნიშული ოქმის ძალაში შესვლის შემდეგ, ამ უკანასკნელი მოქმედების თარიღს არსებითი მნიშვნელობა არ აქვს სასამართლოს დროებითი

იურისდიქციის განსაზღვრისთვის (იხ. საქმე *ნიკოლაიშვილი საქართველოს წინააღმდეგ* (dec.), no. 30272/04, 2009 წლის 7 ივლისი, და ამ გადაწყვეტილებაში გაკეთებული მითითებები სხვა საქმეებზე; ასევე იხ. საქმე *ჯიქია საქართველოს წინააღმდეგ* (dec.), no. 37302/05, § 23, 2016 წლის 11 ოქტომბერი). წინამდებარე საქმეში მოცემული ძალადობის სამი ინციდენტი მოხდა 2000 წლის 2-3 სექტემბერს (საქმე N 3), 2000 წლის 26 ოქტომბერს (საქმე N 2) და 2001 წლის 27-28 მარტს (საქმე N 5). ისინი წარმოადგენდნენ მომენტალურ ქმედებებს, რომლებსაც არ მოჰყოლია სიტუაციის გაგრძელება დამატებითი ოქმის პირველი მუხლის თანახმად (სხვა საქმეებთან ერთად, იხ. *ბლეჩიჩის* საქმე, § 86, რომელიც მითითებულია ზემოთ; ასევე საქმეები *მოლდოვანი და სხვები და როსტაში და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ (Moldovan and Others and Rostaş and Others v. Romania)* (dec.), nos. 41138/98 და 64320/01, 2001 წლის 13 მარტი, და საქმე *ფატულაევი აზერბაიჯანის წინააღმდეგ (Fatullayev v. Azerbaijan)* (dec.), no. 33875/02, 2006 წლის 28 სექტემბერი). სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, შემდგომ სასამართლო საქმის წარმოებას არ აქვს არსებითი მნიშვნელობა აღნიშნულთან დაკავშირებით. დამატებითი ოქმის პირველი მუხლი საქართველოსთან მიმართებით ძალაში შევიდა 2002 წლის 7 ივნისს. აქედან გამომდინარე, სასამართლო ადგენს, რომ დროსთან დაკავშირებული გარემოებების გამო, მომჩივანთა საჩივარი მათი საკუთრების უფლების სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით მიუღებელია კონვენციის დებულებებთან მიმართებით 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის მნიშვნელობით და უარყოფილი უნდა იქნას 35-ე მუხლის მე-4 პუნქტიდან გამომდინარე.

IV. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

91. კონვენციის 41-ე მუხლში ვკითხულობთ:

„თუ სასამართლო დაასკვნის, რომ დაირღვა კონვენციით ან მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლება, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდა სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.“

A. მატერიალური ზიანი

92. N 1 და N 5 საქმეებთან დაკავშირებით მომჩივნები ამტკიცებდნენ, რომ მათ განიცადეს მატერიალური ზიანი - საერთო ჯამში 9 456 ევროს ოდენობით. ამის დასადასტურებლად, მათ წარმოადგინეს ორი აუდიტორული დასკვნა, სადაც დეტალურად იყო გაწერილი ის ნივთები, რომლებიც დაზიანდა მათი რელიგიური შეკრებების დარბევის შედეგად.

93. მთავრობამ უარყო აუდიტორული დასკვნების სისწორე და განაცხადა, რომ მომჩივანთა მოთხოვნები მატერიალურ ზიანთან დაკავშირებით იყო დაუსაბუთებელი. სხვა დანარჩენთან ერთად, მთავრობამ აღნიშნა, რომ სავარაუდოდ დაზიანებული ავეჯი ეკუთვნოდა საქართველოში „პენსილვანიის საგუშაგო კომკსა“ და „იეჰოვას მოწმეების გაერთიანებას“ და არა უშუალოდ მომჩივნებს. რაც შეეხება დაზიანებულ ლიტერატურას, წიგნებს, მთავრობის მტკიცებით, აღნიშნული წარმოადგენდა საჩუქარს, რომლის დარიგებაც უფასოდ მოხდა იეჰოვას მოწმეებისთვის, მათ შორის მომჩივნებისთვისაც.

94. სასამართლო იმთავითვე აღნიშნავს, რომ მომჩივანთა საჩივრები პირველი საქმის კონტექსტში მიჩნეულ იქნა მიუღებლად. რაც შეეხება მეხუთე საქმეს, მომჩივანთა მიერ წარმოდგენილი აუდიტორული დასკვნების გათვალისწინებით, სასამართლო აკმაყოფილებს N11-13 მომჩივანთა მოთხოვნას მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით და ერთობლივად 500 ევროს მიაკუთვნებს.

B. მორალური ზიანი

95. თავდაპირველად მომჩივნებმა მოითხოვეს, რომ მთავრობისთვის მიეცათ მითითება ამ საქმეზე მიღებული

სასამართლოს გადაწყვეტილების ყველა სამართალდამცავი ორგანოებისთვის მიწოდებასთან დაკავშირებით, კონვენციის მე-9 მუხლით გარანტირებული უფლებების ხაზგასმით.

96. ასევე, მომჩივნები მოითხოვდნენ კომპენსაციას თითოეულისთვის 5000 ევროს ოდენობით, მათ მიერ განცდილი მორალური ზიანისთვის. ისინი ხაზს უსვამდნენ, რომ აღნიშნულმა ინციდენტებმა მათ მიაყენა დიდი ემოციური სტრესი და რომ სახელმწიფოს უარი დაცვის უზრუნველყოფაზე ნიშნავდა იმას, რომ ისინი მუდმივად იმყოფებოდნენ ტერორისა და დაშინების მდგომარეობაში.

97. მთავრობამ განაცხადა, რომ მოთხოვნილი თანხა იყო გადაჭარბებული. მთავრობამ მიუთითა სასამართლოს გადაწყვეტილებაზე *გლდანის კონგრეგაციის 97 წევრსა და ოთხი სხვა პირის (Members of the Gldani Congregation of Jehovah's Witnesses and Others)* საქმეზე (მითითებულია ზემოთ), რომელიც უკავშირდებოდა მსგავს მოვლენებს და სადაც სასამართლომ დააკმაყოფილა მომჩივნების მოთხოვნა ანაზღაურებაზე 120-დან 700 ევრომდე ოდენობით (იქვე, § 153).

98. რაც შეეხება ზემოთ, 95-ე პარაგრაფში, ამ მომჩივანთა თხოვნას, სასამართლო აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილება, რომლითაც სასამართლო ადგენს კონვენციის ან მისი დამატებითი ოქმების დარღვევას, მოპასუხე სახელმწიფოს აკისრებს სამართლებრივ ვალდებულებას არა მხოლოდ გადაუხადოს შესაბამის მხარეებს ის თანხები, რომელთა გადახდაც განისაზღვრა მოთხოვნის დაკმაყოფილების შედეგად, არამედ ასევე მინისტრთა კომიტეტის ზედამხედველობის ქვეშ აირჩიოს ზოგადი ან/და, თუ მიზანშეწონილია, ინდივიდუალური ღონისძიებები, რომლებიც მიღებული უნდა იქნას ქვეყნის სამართლებრივი სისტემის ფარგლებში, რათა წერტილი დაესვას სასამართლოს მიერ დადგენილ ძალადობრივ ფაქტებს და გამოასწოროს შედეგები ისე, რომ შეძლებისდაგვარად აღადგინოს დარღვევამდე არსებული მდგომარეობა (იხ. საქმე *მაესტრი იტალიის წინააღმდეგ (Maestri v. Italy)*[GC], no. 39748/98, § 47, ECHR 2004-I).

99. შესაბამისად, მაშინ როდესაც ამ გადაწყვეტილების გავრცელება იმ ორგანოებში, რომლებიც პასუხს აგებენ საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნებაზე, ნამდვილად შესაძლოა იყოს დამატებითი და სათანადო აღსრულების ღონისძიება, სასამართლო იმეორებს, რომ უპირველეს ყოვლისა, მოპასუხე

სახელმწიფომ უნდა აირჩიოს, მინისტრთა კომიტეტის ზედამხედველობის ქვეშ, ის ზუსტი საშუალებები, რომლებიც გამოყენებული იქნება ქვეყნის სამართლებრივ სისტემაში კონვენციის 46-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად (იხ. ასევე შემდეგი წყაროები: *გლდანის კონგრეგაციის 97 წევრსა და ოთხი სხვა პირის* საქმე, § 154, და *ბელელური და სხვების* საქმე, § 188, ორივე მითითებულია ზემოთ).

100. რაც შეეხება მოთხოვნილ თანხას, სასამართლოს ეჭვი არ ეპარება, რომ შვიდმა მომჩივანმა განიცადა ტანჯვა და იმედგაცრუება კონვენციის მე-9 და მე-14 მუხლებით გათვალისწინებული მათი უფლების დარღვევის შედეგად. მხოლოდ აღნიშნული დარღვევების დადგენა მორალური ზიანის არაადეკვატური კომპენსაცია იქნებოდა. საქმის შესაბამისი გარემოებებისა და სამართლიანობის გათვალისწინებით, სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას დააკმაყოფილოს მომჩივნების მოთხოვნა თითოეული მომჩივნისთვის 1500 ევროს ანაზღაურებით, რაც გათავისუფლებული იქნება ყველა გადასახადისაგან, რომლებიც შესაძლოა დაეკისროს მომჩივნებს.

C. ხარჯები და დანახარჯები

101. მომჩივნებმა მოითხოვეს ყველა ხარჯის ანაზღაურება, რომელიც მათ გაიღეს ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა სასამართლო საქმის წარმოებისას, და ასევე რომლებიც გამომდინარეობს ევროპული სასამართლოს წინაშე მათი წარმომადგენლობიდან.

102. რაც შეეხება ადგილობრივ დონეზე საქმის წარმოებას, მომჩივანთა ინტერესებს საქმეებში N 2, 3 და 5 წარმოადგენდნენ ბ-ნი ჭაბაშვილი და ბ-ნი ციმინტია, რომელთა მომსახურების თანხის ასანაზღაურებლად მომჩივნებმა მოითხოვეს 18 000 ევრო.

103. სასამართლოს წინაშე მომჩივნებს წარმოადგენდნენ ბ-ნი ა. კარბონე, ბ-ნი ციმინტიასა და ბ-ნი კოლჰოფერის დახმარებით. მომჩივნებმა მოითხოვეს 14 500 ევრო ამ ადვოკატთა მომსახურების თანხის ასანაზღაურებლად. მათი მოთხოვნების გასამყარებლად მომჩივნებმა წარმოადგინეს ანგარიშ-ფაქტურა, რითაც დასტურდება, რომ მათ უნდა გადაეხადათ შესაბამისი თანხები სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანისთანავე.

104. მთავრობამ მიიჩნია, რომ მომჩივნების მიერ მოთხოვნილი თანხები, ადგილობრივ დონეზე საქმის წარმოების დროს და სასამართლოს წინაშე გაღებული ხარჯების ასანაზღაურებლად, იყო გადაჭარბებული და დაუსაბუთებელი. მთავრობამ განაცხადა, რომ მომჩივნების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ იყო ჩაშლილი პუნქტების მიხედვით და საკმარისად დეტალური, მასში მითითებული არ იყო თითოეული ადვოკატის მიერ საქმეებზე დახარჯული საათების რაოდენობა და თითოეული მათგანის მიერ შესრულებული სამუშაოს ზუსტი ოდენობა. ასევე, სხვა დანარჩენთან ერთად, მომჩივნებმა ვერ წარმოადგინეს თითოეულ ადვოკატთან გაფორმებული კონტრაქტები.

105. სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, მომჩივანს უფლება აქვს მიიღოს ხარჯებისა და დანახარჯების ანაზღაურება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც დადასტურდება, რომ ეს ხარჯები რეალურად და საჭიროებისამებრ იქნა გაღებული, და არის გონივრული რაოდენობასთან მიმართებით. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ ამ კონტექსტში ის არ არის შეზღუდული ეროვნული მასშტაბებითა თუ სტანდარტებით, თუმცა შეუძლია ისინიც მოიშველიოს (იხ., სხვა საქმეებთან ერთად, საქმე *მ.მ ნიდერლანდების წინააღმდეგ (M.M. v. the Netherlands)*, no. 39339/98, § 51, 2003 წლის 8 აპრილი). წინამდებარე საქმეში მიუღებლად გამოცხადდა ექვსი მომჩივნის საჩივარი სავარაუდო ძალადობრივ ინციდენტებთან დაკავშირებით საქმეებში N 1 და N 4. რაც შეეხება დანარჩენ ინციდენტებს, ისინი შედარებით რთული იყო ფაქტობრივი კუთხით, რადგან მოიცავდა შვიდ მომჩივანსა და ადგილობრივ დონეზე გაჭიანურებულ სამ სამოქალაქო საქმის წარმოებას. სასამართლოს წინაშე წარმომადგენლებს უნდა წარმოედგინათ დიდი რაოდენობით დოკუმენტაცია, თანდართული თარგმანებით ინგლისურ ენაზე, მომჩივანთა პრეტენზიების გასამყარებლად.

106. სამართლიან საფუძველზე შეფასებითა და პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობით, სასამართლო აკმაყოფილებს მომჩივანთა მოთხოვნას ანაზღაურებაზე ერთობლივად 10 000 ევროს ოდენობით, რაც გათავისუფლებული იქნება ნებისმიერი გადასახადისაგან.

D. საურავი

107. სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს, საურავის განაკვეთი განისაზღვროს ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთით, რომელსაც უნდა დაემატოს სამი პროცენტი.

ამ მიზნით სასამართლო ერთხმად,

1. *აცხადებს* მომჩივნების ცარციძის, ბოზოიანის, გელაშვილის, გოგოლაძის, თვარაძისა და კაპანაძის საჩივრებს N 1 და N 4 საქმეებთან დაკავშირებით მიუღებლად;

2. *აცხადებს* კონვენციის მე-9 და მე-14 მუხლების საფუძველზე მიკირტუმოვის, ალიევის, ძამუკოვის, გაბუნიას, გოგელაშვილის, ყურუასა და ჩუბინიძის მიერ შეტანილ საჩივრებს N 2, N 3 და N 5 საქმეებთან დაკავშირებით მისაღებად, ხოლო დამატებითი ოქმის პირველი მუხლის საფუძველზე შეტანილ საჩივარს – მიუღებლად;

3. *ადგენს*, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-9 მუხლის დარღვევას ცალკე და მე-14 მუხლთან ერთობლიობაში შემდეგ მომჩივნებთან მიმართებით - მიკირტუმოვი, ალიევი, ძამუკოვი, გაბუნია, გოგელაშვილი, ყურუა და ჩუბინიძე;

4. *ადგენს*, რომ არ არსებობს კონვენციის მე-6, მე-8, მე-11 და მე-13 მუხლებიდან გამომდინარე საჩივრების განხილვის აუცილებლობა;

5. *ადგენს, რომ*

(a) მოპასუხე სახელმწიფო ვალდებულია, კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან სამი თვის ვადაში გადაუხადოს მომჩივანს შემდეგი ფულადი ოდენობები, რომელთა კონვერტირება მოხდება მოპასუხე სახელმწიფოს ვალუტაში ანგარიშწორების დღეს არსებული კურსით:

(i) მატერიალურ ზიანთან დაკავშირებით, 500 (ხუთასი) ევრო ერთობლივად მომჩივნებს - გოგელაშვილი, ყურუა და

ჩუბინიძე, რაც გათავისუფლებული იქნება ყველა გადასახადისაგან, რომელიც შესაძლოა დაეკისროს მომჩივნებს;

(ii) მორალურ ზიანთან დაკავშირებით, 1 500 (ათას ხუთასი) ევრო მე-3 პუნქტში მოხსენებული შვიდი მომჩივნიდან თითოეულს, რაც გათავისუფლებული იქნება ყველა გადასახადისაგან, რომელიც შესაძლოა დაეკისროს მომჩივნებს;

(iii) ყველა ხარჯისა და დანახარჯის დასაფარად, 10 000 (ათი ათასი) ევრო ერთობლივად, ზემოთ, მე-3 პუნქტში მოხსენებულ შვიდ მომჩივანს, რაც გათავისუფლებული იქნება ყველა გადასახადისაგან, რომელიც შესაძლოა დაეკისროს მომჩივნებს;

(b) ზემოთ აღნიშნული სამთვიანი ვადის ამოწურვიდან გადახდის განხორციელებამდე ზემოხსენებულ გადასახდელ თანხებს დაერიცხება მარტივი პროცენტი, რომელიც შეესაბამება საჯარიმო პერიოდში მოქმედ ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრულ სასესხო განაკვეთს, რასაც დაემატება სამი პროცენტი;

6. *უარს ეუბნება* მომჩივნებს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე დანარჩენ ნაწილში.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და წერილობითი ფორმით ეცნობა მხარეებს 2017 წლის 17 იანვარს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე წესების მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად.

მარიალენა ცირლი	ანდრაშ შაიო
სექციის განმწესრიგებელი	თავმჯდომარე